


326858 300135

ღ

სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე

ზ. ქ.



1909 - 1909
8. 4. 1909 წ. 1909 წ. 1909 წ. 1909 წ.


გ ა მ ი ც ე მ ა

ხელოსნის გარლამ ტუშელაშვილის მიერ.

ჭ ფ ი ლ ი ს ი

სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიტნავასი.

1916 წ.



ვახტანგ მეფის

ღ.

სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე

8. ქ.



10996

ვახ 15 წელი


გამოცემა

ხელოსნის ვარლამ ტუშელაშვილის ძეგლი.

ტფილისი

სტამბა „ვანათლება“ დ. ლ. პიტნავასი.

1916 წ.



ი ს ტ ო რ ი ა

ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა.

1625—1900

ევროპაში, გუტენბერგისაგან შემოღებულ სტამბის იარაღის მოგონების ცნობები, ერთიან მალე მოიფინა, ახლად დაბეჭდილ წიგნების ცნობები მთელს ევროპას ელვასავებ მოედო, ეს ცნობები ბალაკანის კუნძულზე მცხოვრებ სლავიანებმაც კარგად შეიტყოს. ჩვენშიაც გაიგეს, რომ ევროპაში სასტამბო იარაღი და წიგნის ბეჭდვაც მოუვონიათო. წიგნის ბეჭდვის ამბები მრავალთ სჯეროდათ, მრავალთათვის დაუჯერებელი იყო. ჩვენს დაუჯერებლობას მალე მოევლინა უებარი წამალი, ევროპის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელთ მამათავან ამის ცნობები საქართველოშიაც მალე მოიფინა, დაუჯერებელი ამბავი დასაჯერებელ ჰქონდეს მით უფრო, რაღანაც მაშინ ტფილისში, კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელთ ეპისკოპოზის კათედრაც არსებობდა და კათედრაზე მათი ეპისკოპოსნი განაგებდნენ. ამ მოძღვართ მეოხებით სტამბის ცნობებს გარდა სხვაც ბევრი რამ საყურადღებო ცნობები გავრცელდა საქართველოში.

ქართველთ თუმცა აღრიღვანვე შეიტყოს, რომ ევროპაში წიგნის საბეჭდი შემოიღესო, მაგრამ მათგან სარგე-

ბლობის ოცნება კი ჰაზრათაც არ მოსდიოდათ. გუტენ-ბერგმა 1455 წ. გამართა თავის პირველი სტამბა, ამის შემდეგ მალე სლავიანთ ტომებმაც იწყეს დამართვა. ამ დღიად საქვეს სომხებმაც დროით მიაჩარის ყურადღება, ამათ 1557 წ. ვენეციაში, გამართეს სომხური სტამბა, ამის ამბავმაც მოაწია საქართველოში, ამანაც არა მცი-რედი მნიშვნელობა იქონია ქართველებზე. 1564 წ. რუ-სებმა გამართეს მოსკოვს პირველი რუსული სტამბა. ეს ამბავიც მალე შეიტყოს ქართველთა, მიეცნენ სტამბის ნატერას, მაგრამ მოხერხება კი ერთობ უძნელდებოდათ. საქართველოში სტამბის გახსნის ნატერას და საქმეებს ის გარემოებაც უფრო აფერხებდა, რადგანაც როდესაც ეს შესანიშნავი საქმე ევროპაში გაბრწყინდა, სწორედ იმ დროს, საქართველოსთვის კი დადგა შავი და ბნელი დღეები, იმ დროს იწყეს ჩევნს თავზე მუკულმან მტრებმა ნაეარდობა და პარპაში, აქ სტამბის გახსნისთვის აღარა-ვის სცალოდა. ამ დროს საქართველო განცალკევდა ნა-წილ-ნაწილ, დაიყა შტოებათ, სამეფოებათ, ჩევნდა სა-უბედუროდ, გარეშე მტერთ გარდა, თვით ქართველთაც იწყეს ერთმანერთში მტრობა და ბრძოლა, ხშირად მთა-ვარი მთავარს ებრძოდა, სახლიშვილი სახლიშვილს, ხეობა ხეობას, მთა მთასა, ბარი ბარს, ქართლი კახეთს, იმერე-თი თვის სამთავროებს და ყველა ესენი კი ერთმანერთს. ყველა ამაებით კარგათ სარგებლობდა ჩევნს გარშემო მყოფ მაპმაღანები. მათი მახვილი სასტიკათ გვესვებოდა გარს, შინაურ მტრობას მაინცა და მაინც დიდი შესა-მჩნევი ზარალი არ მოჰქონდა, რაც იყო და რამიც მო-გვილო ბოლო, ეს იყო გარეშე მტერთაგან მოწოლილი ძალა. გარეშე მტრებთა ბრძოლით ქართველთ ისე გაუ-ხდათ საქმე, რომ სტამბის გახსნა კი არა და სიცოცხლის მფარველობაც კი უჭირდებოდათ.

მრავალნი ჰკეირობდნენ და ჰკვირობდნ კიდევ, რომ
საქართველოში, სტამბის არსებობის ცნობებმა ერთობ
გერან მოაღწია, ქართველებმა სტამბა ერთობ გეიან
გახსნესო. ვინც ჩვენს წარსულს დააკვირდება, იმას ეს
საკვირველად არ დაუშთება თუ საქმეს დავაკვირდებით და
შევადარებთ ქართული სტამბის და წიგნის ბეჭდვის საქმეს
რუსებისა და სომხებისაგან, დახსნალ სტამბებთა რიცხვს,
ეს მაინც და მაინც შორი-შორს არ გამოვა, სულ 65
წლის განსხვავებას შეადგენს, პირველი ქართული სტამბა
1625 წ. რომში იქმნა გამართული, 1626 წ. ქართული
ანგანის წიგნაკიც გამოიცა. ასე და ამ გეარათ, ჩვენ ვხე-
ლავთ, რომ გუტენბერგმა ევროპაში 1455 წ. გახსნა პი-
რველი სტამბა, სომხებმა 1557 წ. ვენეციას, რუსებმა
1564 წ. მოსკოვს და ქართული სტამბა ქართველთ ლა-
თინის წეს-რიგის პატრებმა 1625 წ. გახსნეს რომში.
ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქართველთ შორის სტამბ-ს
გახსნის საჭიროება XVI საუკ. დამლევსვე გამოითქვა, ეს
გამოთქმა პირველად ლათინის წეს-რიგის პატრებისაგან
დაიძრა, ამას ნატერა მათ ქართველთ დიდებულთა და
მეფეებსაც მოახსენეს. მათი მოხსენება ყველას ესიამოვნა,
XVII საუკ. დამდეგს, რომში მათგან მიწერ-მოწერაც
გაიმართა, პაპს ავედორებდენ საქართველოს მფარველობას,
რომში ქართული სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას.
ასეთს ნატერას არამც თუ უცხო ქვეყნათა „პრაპაგანდოს“
ძმები და მამები ადგნენ, არამედ ყველა იმ დროის სხვა-
და-სხვა ორდენის ძმანი და მამანიც, ყველას დიდი სი-
ბრალული ჰქონდა აზიაში ქრისტიანობის მფარველ სა-
ქართველოსი. ნამეტურ პატივით უმშერდენ პაპი და მისი
კარლინალები.

ერთის ლათინის წეს-რიგის პატრიკიანგან ასეთი ცნობა.

არის წარდგენილი პაპის წინაშე ქართველების შესახებ:
„მთელს აზიის სამეფოებთ შორის ქრისტიან მეფენა და
ერნი მძღვრის მუსულმანებისაგან დაეცნენ, დაეცა თვით
ვიზანტია, მაგრამ საქართველოს საქართველო, რომელიც
შე ზღვის და კასპის ზღვის შეა სძევს და რომელ ქვე-
ყნის ხალხნიც განთქმულნი არიან ქრისტიანობის მფარ-
ველობით, დღევანდლამდე შეინახეს თავიანთი საკუთარი
მეფობა, მთელს აზიის დაცემულ ქრისტიანებს ესერი შვე-
ლიან, ამათ ვეტი მათ მფარველი, პატრიარქი არავინა
ჰყავსთ, აზიაში ქართველთ დიდი ამაგი, დიდი შრომა მი-
უძღვით ქრისტიანობის მფარველობისთვის, კავკასიის ერთ
შორის საღმე თუ ქრისტიანობა ბრწყინავს, საღმე თუ მი-
სი შუქი ანათებს, ამ შუქის სინათლის მიმცემი ქართვე-
ლები არიან. ასეთ ღირსეულ, ასეთ თავდალებულ ერთა-
თვის საჭიროა სტამბის გახსნა, წიგნების ბეჭდვა, და ოქვე-
ნის უწმინდესობის მფარველობა, რადგანაც მათ შორის
არა მცირედნი სცხოვრობენ ისეთნიც, რომელნიც ჩვენს
სარწმუნოებას იღიარებენ“. ასეთი ცნობებით აღსილი
წერილები მისიანერს მარიოს მაჯის, სტეფანე პაულინს
და ნიკიფორე ირჩახსაც ხშირად უგზავნიათ პაპის წინაშე
და დიდით ცდილან ქართული სტამბის გახსნას, აშათს
ასეთს დიდს ნატვრას თვით მათივე საქმის ფაქტები გა-
მოაჩენენ. ამათზე ბევრათ წინეთ-კი სხვა მისაონერებსაც
უსაუბრია და უშრომიათ რომის წინაშე ქართული სტამ-
ბის გახსნის საჭიროებისათვის.

მნე მქადაგებელთ მეოხებით ჭომის უმაღლეს სამ-
ღვდელოების წინაშე ძრიგლ უადვილესად დაიბადა პაზ-
რი ქართული სტამბის გახსნის შესახებ, ბევრის საუბრის
და კამათის შემდეგ უკვე გადაწყდა ქართული სტამბის
გახსნის კითხვა და უველა ხარჯი იკისრა პაპის გამგეო-

ბამ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდენ ზემოთ ხსენებული პირები: მარიოსი, სტეფანე და ნიკიფორე. ამათ შეაღვინეს ქართული ანბანი, მათის თავდარიგითვე ჩამოახეს ქართული ახოების ყალიბები, ამათის ზედამხედველობით დაარსდა სტამბა, ამათვე შეაღვინეს და დაწერეს უცელა ის წიგნები, რაც-კი საჭიროდ დაინახეს დასაბეჭდათ. 1625 წ. უკვე გამოცხადდა ცნობა, რომ პაპის „უცხო სამქადაგებლო ძმობის“ თავოსნობით და პაპის მფარველობით რომში ქართული სტამბა ფუჭნდებათ. ამ დროს პაულინი, მარიოსი და ნიკიფორე რომში იქმნენ მიწვეულნი, მათ მალე მოაწევეს სტამბა, მის გამგეობა თვით იკისრეს და 1629 წ. უკვე ქართულ იტალიურ წიგნიც დაბეჭდეს. პირველად რომში დაიბეჭდა ქართული ანბანი—ლოცვებით, ეს ლოცვები საქართველოს კათოლიკეთათვის იყო საჭირო, რადგანაც ლათინის ბერებს ძრიელ უჭირდებოდათ მრევლასთვის ანბანის და ნამეტურ ლოცვების გადაწერ-გადმოწერა. იმ დღიდამ ვიღრე 1800 წლამდე, რომში ქართული წიგნების ბეჭდვა არ მოსპობილა, ანბანსა და ლოცვებს მოჰყვა „ქართულ იტალიურ სლავარი“ შეაგენილი სტეფანე პაულინისაგან ნიკიფორე ირბახის დახმარებით და დაბეჭდილი 1629 წ. რომსვე-აი თვით წიგნის სათაურიც, რომელიც მოგვყაფს შეუცვ-ლელად.

Dictionario giorgiano
e Italiano. Composto da Stefano Paolini con
l'aiurio del M. R. P. D. Niceforo Jrbachi.
Giorgiano, Monaco di S. Bafilio.
ad uso de' Missionarii
della Sagra Congregatione de Propaganda fide.

გამოცემა In. Roma,

Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. fidei.

CICDC XXIX=1629

Con licenza de' superiori.

ამ სათაურის მეორე გვერდზედ მოხსენება არს და-
ბეჭდილი თვით წიგნის შესახებ. მეხუთე გვერდზედ წი-
ნასიტყვაობა იწყება, რომელიც შედგენილია „პროპაგან-
დოს“ ძმებისაგან, რომ ეს „ქართულ-იტალიური სლავარი“
ივერიელთ სასარგებლოთ იძექდებათ. წიგნის დასაწყისი ასე
იწყება: — „Alfabeto Giorgiano“. ამას მისდევს ქართუ-
ლი ანბანი, ანბანის შემდეგ სიტყვები იწყება, სიტყვებზე
მიწერილია ქართული ასოებთ ეს სიტყვები, რომელიც
თავის წერტილებითვე მოგვყაფს აქ: — „:ლექსი: იძერი-
გო: ფრანცი:“ ქართულ ასოებს გვერდით ლათინური
ანბანი აქვს დაბეჭდილი, იგი ხსნის ქართულ სიტყვებსაც
გვერდზედ ლათინური სიტყვებიც აქვს მიბეჭდილი. ამ სი-
ტყვების შემდეგ ქართული ასოები ლათინურის ასოები-
თაც არის ნაბეჭდი, რომ მისიონერებს გაადვილებოდათ
ქართული ენის შესწავლა. წიგნი შეიცავს 128 გვ. თი-
თო გვერდზეც დაბეჭდილია 18—19 სიტყვა, ყველა ქარ-
თულ სიტყვას თავის თარგმანიც აქვს. თავის დროის კვა-
ლათ ეს წიგნი საკმარის კარიგს ქალალზეც დაბეჭდილი,
ასეთი ქალალი მაშინ-კი არა და XVIII საუკ. იშეიათ
იყო საქართველოში. „სლავარის“ მოჰყვა ქართულ-იტა-
ლიურ გრამატიკის შედგენა, რომელ გრამატიკის ბოლოს
ქალდეური, არაბული და ებრაული ასოებიც არის მო-
თავსებული. გრამატიკას შედარებითი კილო აქვს მიცე-
მული. უნდა ესთქვათ, რომ იმ დროის კვალათ ეს შრო-
მა ჩვენ ერთობ დიდს სამეცნიერო შრომათ მიგვაჩნია,

დიდს შრომას გარეშე, ამ წიგნის დაბეჭდვა მაშინ დიდს ფულს, დიდს ხარჯსაც მოითხოვდა, რაღანაც იგი ვრცელი ტომია. ეს „ქართულ იტალიური გრამატიკა“ მისიონერს ნიკიფორე ირბახს შეუდგენია და გამოუციათ მხოლოდ 1670 წ. რომს, ვინ გამოსცა, თვით ენერგიულმა მისიონერმა ნიკიფორემ, თუ სხვამ? — ეს არ სჩანს, ვინ იცის იქმნება იდი ამ დროსაც ცოცხალი იყო. ამ თვით ამ წიგნის სათაურიც, რომელიც წიგნიდამ შეუცვლელად მოგვყავ აქ:

Syntagma son hingvarim orientalium quae in georgiae regionibus au'diuntur Liber primus Complectans Georgiana, seu Ibericae vulgaris linguae Institutiones grammaticas Authore D. Francisco-Maria Maggio, clero regulari, Panormitano.

Romae,

Ex Typographia sacra Congratinis de Propaganda Fide M. D. C. LXX 1670 წ. Superiorum permisso.

ამ შრომიდამ ნათლად სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახი დიდი შრომის და ენერგიის მისიონერი უნდა ყოფილიყოს. წიგნის გვერდთა რიცხვი შეიცავს 400 გვერდს, დაბეჭდილია საწერ მთელ თაბერან ქალალდზედ. ამ წიგნებს გარდა ხსენებულ პირებს სხვა წიგნებიც უბეჭდიათ, მაგრამ ჩვენ ამ წიგნების არაფერი ვიცით. 1733 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმა ტულუკაანთ დაეითამ „საქრისტიანო მოძღვებას“ რომის ქართველ კათოლიკეთათვის, შემდეგ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ მეორეთ 1793 წ. იქნა გამოცემული და მესამედ 1800 წ. მესამე გამოცე-

მაში მღვდელს ახალციხელ ბალინაშეილხაც მიუღია მონაწილეობა. 1741 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმი ტულუკაანთ დავითამ პატარა „საქრისტიანო მოძღვრება“ მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის. დაიბეჭდა წმიდა რომის ქალაქს, სასწავლოს შინა, რომელსაც ქართულიათ ჰქვიან „პროპაგანდო ფადე“ მთავრობასა ბენედიქტე XII რომის პაპისა 1741 წელს. გამოცემის ხარჯი პაპის ყოფილა. ქართული ასოების შესახებ უნდა ვსთვათ, რომ იგინი კარგათ ჰქანაუენ ქართულ ანბანის სახეს თავის მოქარგულობით. ასოების ზომა დღევანდელის ასოების მეთექვსმეტე ნომერს უდრის. უნდა შევნიშნოთ, რომ „სლავარში“ ნახმარია ძველი ქართული მართლ წერის ნიშნები, სამ-სამი წერტილი ჯვარედინათ, რის ხმარებაც XVI საუკ. საქართველოში მხედრულს ხელთ-ნაწერებში წინ წავიდა. ქართულის გრამატიკიდამ კი ეს გამოდევნილია, აქნახმარია მართლ წერის ყველა საგრამატიკო ნიშნები. ასე რომ ამის მზერით კაცი განციფრდება, პირველად ლათინის ბერებმა შემოიტანეს ეს ნიშნები ჩვენში, პირველად ამათ იხმარეს ქართულს წიგნებში. XVII საუკუნეში-კი არა და ამ ნიშნების ხმარება ქართველებმა თვით XVIII საუკუნეშიაც არ იცოდენ. ამ გრამატიკაში ნიშნებიც საოცარის სიფრთხილით არის ნახმარი, არსად კაცი მათ უადგილობას ვერ შენიშნავს, ყველგან რიგზე არიან დანიშნულნი.

უნდა ვსთვათ, რომ ქართველ ერის ისტორიაში, პირველ ქართულ სტამბის გახსნა 1709 წ. კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ 1625 წ. რომში, როცა პაპი ურბანუს მერვე საქართველოს მფარველი გახდა, როცა საქართველოში მათი მქადაგებლები გაჩდნენ. ჩვენ, 1626 წ.

უნდა ვიანგარიშოთ ქართული სტამბის გახსნისთვის. რიგია, რომ ასეთ დიდს საგანს, ძეირფას მხარეს ჩვენის ისტორიისას, სრული ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ოდესმე რომში პირველ ქართულ სტამბის დაარსების ხასოვრად ვიდლესასწაულოთ კიდევ, მთელს ევროპას ვამცნიოთ, რომ პირველი ქართული სტამბა როდის და სად გაისხნა, ამასთანავე აინუსხოს ისტორია იმ განწყობილების, პატივისცემის და სიბრალულის, რაც კი ჩვენს მეფეებს და პაპებს შორის ყოფილა დამკვიდრებული. ამ ისტორიისათვის რომში ძრიელ ბევრი მასალები აღმოჩნდება, ამ მასალებიდამ კარგათ გამოსჩნდება, თუ რომის ტახტმა რა განძრახვით გახსნა რომში ქართული სტამბა.

რომის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობებმა ხართველოშიაც მალე მოაღწიეს, ჯერ ქართველთ დაბეჭდილი წიგნები არც კი ენახათ თვალით, რომ სიტყვით ესმოდათ: რომში, პატრებს ქართული წიგნები დაუბეჭდიათ. ეს თქმულება მალე გამართლდა, ლათინის პატრებმა ქართულად დაბეჭდილი წიგნები მალე შემოიტანეს ხაქართველოში, ეს ნაბეჭდი წიგნები ოთხსავ-კუთხივ მოჰქონდა, ყველა ქართველი განკვირვებულ იყო ასეთის საოცარის საქმისაგან, მრავალთ იწყეს თვალის გახილება და ირგვლივ ფხიზლათ მზერა. იმ დროის ქართველთ ხშირად უსაუბრიათ სტამბის და წიგნის ბეჭდვის საჭიროებაზე, მაგრამ მოხერხებით კი ვერ მოუხერხებიათ, შინაურს და გარეულს მტრობას და გარემოებას ხელი შეუშლია მათთვის, ხოლო რაც შეეხება სტამბის გახსნის საჭიროებას და ცნობებს, ეს ხაქართველოში უპირველესად რომიდამ შთამოლერილა, ასე რომ ჩვენი სტამბების ისტორიის სიღიადე რომიდამ იწყება და ამ მნიშვნელოვან დიად საქმის წარმომადგენლებათ მარიოს მაჯი, ნიკოლოზ

ირბახი და სტეფანე პაულინი იგულისხმებიან, ესენი არიან ჩვენი წარმომადგენელნი, ამ მოძღვართ მოქმედება და სახელები ანათებენ ჩვენის ბეჭდვის ისტორიაში. ოდესმე-თუ ქართულს ან ევროპიულს ენებზე დაიწერა ქართული ბეჭდვის ისტორია, იქ ეს პირები მაშინ უპირველეს აღ-გილს დაიკავებენ.

ამ შეადაგებელ მოძღვრებთა შესახებაც ვიტყვით მცი-რედ რამეს: ზემოხსენებულ მოძღვარ მისიონერებში გარდა ნიკიფორე ირბახის ჟელანი ტომით იტალიელნი იყვნენ, იგინი ეკუთვნოდნენ პაპის „უცხოთა სამქადაგებელო ძმობას“, რომელსაც მათებურათ „პროპოგანდი ფიდე“ ეწოდება. ესენი აღრიდგანვე იყვნენ აზიის ქვეყნებში ნავალი, შემ-დგომ მოგზაურობის იგრი დაემჭვიდრნენ საქართველოში. აქ მათ კარგა ხანს იცხოვრეს, გაიცნეს საქართველოს კუთხეები, ზალხი, ენა, ისტორია სხვა-და-სხვა პირობები და ბოლოს ამ ხალხისთვის ცდა და ღწევას მიეცნენ; უკა-ნასკნელ მათის მეოხედით რომში ქართული სტამბაც გაი-ხსნა. ამ სახელოვან მისიონერების ცხოვრების წელი 1650 წლებამდე სხანს; შემდეგ კი ისპობა მათი სახელის მოხსენება. საქართველოში მათი მოსელა შეეხება 1615 — 1617 წლებზე არა უგვიანეს. სტამბის გახსნის შემდეგ ესენი მიხმობილნი იქმნენ რომში. რომში მისულთ ქარ-თველთ ერს მარტოთ სტამბის გახსნა და წიგნების ბე-ჭდვა არ აკმარეს. ამათ მოხსენება მიართვეს პაპს და ითხო-ვეს „პროპაგანდოში“ ქართული ენის კათედრის დაარსე-ბა და საყოველთავოდ იქ ქართული ენას მცოდნე პრო-ცესორის ყოლა. პაპი თანხმა გახდა ამის და მალე იქმნა უმაღლეს სასულეორო სასწავლებელში ქართული ენის კათედრის დაარსება, მასზე პროფესორათ დადგენილ იქმნენ თვით ეს მოძღვარნიც, რის მეოხედით რომიდამ ესენი

საქართველოში უეღარ დაბრუნდნენ. იქ დარჩნენ, იქ მო-
ლვაწეობდნენ ჩვენის გვარის სასარგებლოთ, ჩვენის წარ-
სულის მამა-პაპათ ძეთ გონების განსანათლავათ. ქართულ-
ენის პროფესორებთ რიცხვი რომში თვით მეცხრამეტე
საუკუნის გამდეგამდისაც კი არ მოსპობილა. უკანასკნელ
დროს, ე. ი. 1800 წ. რომში, პაპის „უცხო ქვეყნათა
სამქადაგებელო“ ენის კათედრის უფროსად ახალციხელი
მღვდელი გრიგოლ ბალინაშვილი იყო, რამელიც აგრე-
თვე სომხურ ენის პროფესორათ იგულისხმებოდა.

საშუალ საუკუნოებიდამ, ევროპაში, კათოლიკის
სარწმუნოებისათვის იწყება ათასნაირი სარწმუნოებრივი
ბრძოლა და კამაოი. სასტიკს კამათს რეფორმაციებიც
მოჰყვა. იმ დროს, კათოლიკის ეკკლესია დიდს განსა-
ცდელში იყო, მას დიდი გასაჭირი ადგა, მაგრამ რომს ამ
გაჭირვების დროსაც კი არ დაუვიწყნია საქართველო და
ქართველი ხალხი, აღმოსავლეთის ხალხებთ შორის საქმა-
რისი ზედამხედულობა ჰქონიათ ქართველობაზე მიპყრო-
ბილი, ქართველთ სასარგებლოთ იგინი ფულსაც საკმა-
რისად ხარჯავდნენ. ეს დიდათ საყურადღებოა და მასთან-
ვე პატივ საცემი. ეს ისტორიული მშვენება ჩვენის ისტო-
რიისა მომავალში იქამდის დიდებით და სხივოსნობით
შეიმოსა, რომ ქართული წიგნების საბეჭდი სტამბები რო-
მის სტამბის მიბაძვით ვენეციას, ფრანციას და კონსტან-
ტინეპოლისაც იქმნენ დაარსებული, სადაც ქართველთ
კათოლიკის ბერებისაგან აღიბეჭდნენ მრავალი სასარ-
გებლო ქართული წიგნები. ონდა ითქვას მოკლეთ, რომ
თვით XVIII საუკ. ვახტანგ მეფისაგან გახსნილს სტამბის
წინამორბედათაც ზემო ხსენებულ რომის სტამბა უნდა
ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდელოებას პატრების მოქმედება

თვალ წინ სარკესავებ დაუდგათ და XVII საუკუნის ბოლოს, რაღაც ბეღზედ, ვალახიაში ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელსაც კარგათ შეუსწავლია სლავიანთ წიგნების ბეჭდვის საქმე, ამას მსწრაფ მიუქცევია ყურადღება ქართულს ენაზე წიგნების ბეჭდვის შემოღებისთვის. მას დიდი ნატვრა მისცემია საქართველოში ქართული სტამბის დაარსებისთვის, ამიტომ ამ მღვდელ მთავარს საქართველოში მიწერ-მოწერა გაუმართავს და რჩევა, რომ დროა, თვილისში, ქართული საბეჭდი სტამბა დავაარსოთო. ამის თანხმანი მაღლ გამხდარან ქართველთა ღიღებულნი და წერილიც მიუწერიათ, რომ ძრიელ კარგი იქნება, თუკი ქართველები ამას მოვახერხებთო. ამ განძრახვის მეთაურათ ვახ. მეფეს სთვლიან, მაგრამ ეს არ არის სწორი, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ზემო ხსენებულ ეპისკოპოზე და ვახტანგ მეფეზე ბევრათ აღრე სტამბის გახსნის შესახებ საუბარი არჩილ მეორესაც ჰქონია, რომელიც მოსკოვში კარგა ხანს სცხოვრებდა, გარემოებამ ამას არ მისცა შემთხვევა სტამბის გახსნის, მისი საქმეები მრავალნაირათ დაიხუნჯა, მხოლოდ შემდეგ დროს, — ამის ნატვრა ვახტანგ მეფემ შეასრულა ზემოხსენებულ ეპისკოპოზის ღწვით და ქადაგებით.

ბევრის მიწერ-მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ ეპისკოპოზე ვალახიაში ჩამოუსხმევინებია ქართლი ასოები, ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია, შემოუთვლია: „ნასეთ ეს ასოები და თუ მოგეწონებათ, მაშინ დასთანხმდით და თქვენც მიიღეთ, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ უარი სთქვითო“. ასოების მიღებისათანავე ქართველთ დიდათ მოეწონათ, ამათ ეპისკოპოზს თანხმობის წერილი მისწერეს, დავალეს შრომის მიღება, ყველა იარაღის მოპოვება, მცოდნე თასტატების და ყველა მათ სა..

ქართველოში გამოგზავნა და სტამბის დაარსება. ქართველ ეპისკოპოზსაც დიდათ ესიამოვნა ესეთი ნატერა, მეფის ვახტანგის ბრძანება უმაღლ შეასრულა, მაღლ იშოვნა ოსტატი კაცები, მოიბოვა ყველა სასტამბო იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმაც და უკანასკნელ მეფის განტანგის და ლეონ ირანთა მსაჯულის ხარჯით საქართველოშიაც გამოგზავნილი. ოსტატებთ შორის ოთხი კაცი ყოფილა ხელოსანი, ერთი მბეჭდავი და სამიცამოშეწყობი, ერთი ამათგანი მიხაილი უფროსი ყოფილა. ჩვენის ჰაზრით ეს რიცხვი უნდა შეეხებოდეს 1707 წ. არა უგეიანეს, რადგანაც 1709 წ. თვითისში უკვე გამოიცენ ქართული წიგნები. ვიდრე სტამბა დაარსდებოდა, მინამდის თვითისში დაფუძნებულ იქმნა ქართველთ მწიგნობართ გუნდი, რომელ ბრძენთაც მუშაკობა იწყეს ქართულ სამღრთო წერილის განხილვის, ბერძულს დელნებთან შედარების ტა საბეჭდათ მომზადების. ვახუშტი და ვახტანგი-კი ისტორიულ, უერგრაფიულ და სხვა-და-სხვა მასალების შეკრებას მიეცნენ. ამათ თავიანთი შრომა შემდეგ დროებში რუსეთში დაამთავრეს. ერთი ამ მშრომელთაგანი ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონი, ორბე-ლიანი ყოფილა. 1709 წ. გამოცემულს „საქმე მოცი-ქულთა“-ს ბოლოს აი რა გვარი შენიშვნა არის მიწერი-ლი: — „ოდეს განაგებდა საქართველოსა მმისწული კეთილ მორწმუნე მეფის არჩილის და სასელოვანის მეფის გაორგი-ს და ბატონის ლევანის ლვის მოუგარე, განათლებული კახტანგი, გულ მოიდგინა და მოიღო სტამბა კალახეთით, რომელ არ ოდეს ყოფილიყო საქართველოში, ხელით წერაში ჩვენი სამღრთონი წერილი განტუზნილიყო, და მე, დედის მმისწულს ამ მონაზონს ნიკოლოზ (ორბელიანს) მიბრ-

მანა წიგნების გასწორება და განხილვა. დღის ჭირითა, ბერ-
ძენთ სამოციქულოთ შემწერბითა, სიტყვა და ასო მეტ საკ-
ლები გამართე და ესე საძიებელი არც ერთ ენაში არ იყო,
სიადილისა და ადრე პოგნისათვის ახლა მე გაფავით და თუ
გულის ხმა უოვ, დიალ ადგილია და ამის სწავლება საძიებლის-
თვის, — იქ იძიე, კინც ჩემი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის
სიყვარულისათვის, შენდობას მიბრძანებდეთ, მე დიდათ შემე-
წევის და თქვენ უზრუნველ იქნებით“. ამავე წელს დაიბე-
ჭდეო „დაუჯდომელი“ 1000 კ. პატარა ლოცვანი 1000 კ.
1710 წ. გამოიცა „უამნი“ 450 გვ. ბოლოს მოხსენებუ-
ლია: — „უამნი, აწ ახლად დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა,
უამნისა ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა, უფლისა ქაი-
ხოსროსა, წარსაგებელითა და საფასითა ბატონიშვილის უფ-
ლისა გასტანგისა, გაიმართა ზედითა ნიკოლოზი მღვდელ-
მონაზონის ორბელიშვილისათა და მიხეილ სტეფანეს ძის
ოგარო კლასელისა ხელითა“. სხვა წიგნებზედაც ესევე ნი-
კოლოოზ მღვდელ-მონაზონი აწერს, რომ მე გავ-
მართეო. ზოგი წიგნები სხვებს გაუმართავთ, მეთაურო-
ბა-კი ამას სჭერია. შემდეგ ეს მღვდელ-მონაზონი
თბილელით იქმნა აპუვანილი. 1709—1713 წლე-
ბამდე თფილისში დაიბეჭდვენ შემდეგი სასულიერო
შინაარსის წიგნები: ზოგი ორჯერ სამჯერაც გამოიცენ:
კონდაკი 500 კ., ზატიკი 500 კ., უამნი, მეორეთ 500
კ., სამოციქულო მეორეო, დავითნი, სახარება მეორეთ,
ვრცელი ლოცვანი, მცირე ლოცვანი მხედრულით, ტი-
ბიკონი, კურთხევანი, პარაკლიტონი, სადღესასწაულო,
მარხვანი, ძილის პირნი და ზოგიც სხვა. წვრილი საეკ-
კლესიო წიგნები, ზოგი მხედრულის ასოებით და ზოგი
ხუცურათ, ზოგიერთს გამოცემაბს პირველს ტურცელ-
ზედა, ზოგს ბოლოს, საქართველოს სამეფო გერბი აზის,

ზოგზე დახატულია მეფე ლეონ ირანთა მსაჯული, მამა
ვახტარი მეფისა, რომელიც სპარსეთში სცხოვრებდა, იქ
მთელის ირანის მსაჯულათ ირიცხებოდა, დიდი შესანიშ-
ნავი ჰკვიანი კაცი იყო. იგი შეერთებულ იქმნა შეას სა-
რწმუნოებასთან, მაგრამ საიღუმლოთ-კი კათოლიკობას
აღიარებდა, ზიარებას სპარსეთში მყოფ ლათინის ბერები-
საგან იღებდა. ამან განუზიარა მოგზაურს მისიონერს იე-
ზუიტს პოლონელს კრუსინსკის, რომ მე კათოლიკის სა-
რწმუნოებას ვაღიარებ ჩუმათვო. ასეთი დიდებული მეფე-
ნი ქართველი ხშირათ არ გვყოლია. ეს მეფე საქართვე-
ლოს სამეფოს საქმების გამო სპარსეთში სცხოვრებდა,
შაპის დავალებით მუსლიმანობას აღიარებდა, მაგრამ გუ-
ლით-კი ნამდვილი ქრისტიანი, ქართველი იყო. ეს მეფე
სპარსეთიდამ დიდათ ეხმარებოდა საქართველოს, როსტომ
მეფისავებ, სპარსეთიდამ ეს საქართველოს დიდს მფარვე-
ლობას უწევდა, თვით ტამბის გახსნასაც ეს დიდის სია-
მოვნებით მიჰებებია, სპარსეთიდამ დიდი დახმარება მი-
უცია ამ საქმისთვის, ყველაზე მეტათ მას სიამოვნებია, რაღ-
განაც სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებისაგან მას კარგად
სცოდნია მნიშვნელობა სტამბის გახსნის და წიგნების ბე-
ჭდვის, მისის დახმარების, პატრიონიაბის და საქართველოს
მფარველობის სამახსოვროდ, ვახტარი მეფესაც ლეონ
ირანთა მსაჯულის სახე წიგნებში მოუქცევია, ლეონ
ირანთა მსაჯული სკამზედ ზის, ხელში ქრისტიანულის
ჯვრით გაკეთებული ყაյარჯენი უჭირული, გულატედ და-
ხატულია ბაგრატიონების გვირგვინის როგორიც ჟური
წარწერა აქვს.

იმ დროის ქართველთა, სამრეჭოთა წერილს გარდა
საერთო მწერლობასაც მიაქციეს უუსაფლება, სამართლიენ
მოვალეობის აღსრულებას მოჰკიდეს ხელი და „ვეფ-
2

ხის ტყაოსნის“ ბეჭდვაც განიძრახეს. შეუდგრენ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემის სამზადის და 1711 წ. უკვე დაისწყე, ბეჭდვა ისე, რომ 1712 წ. „ვეფხის ტყაოსნი“ ცალკე წიგროთ გამოიყარა. ამ ძირითას ხაუნჯის გამოცემას ზოგი ხასულიერო პირნი წინ აღუდგრენ. „ვეფხის ტყაოსნის“ ჰაზრებს სამეძაოთ სთარგმნიდენ. ამიტომ ამ წიგნის შინაარსის გათაცნობად ვახტანგ მეფე ახსნა დასწერა, რუსთველის ჰაზრებს შეძაობა მთაშორა. ამის ახსნა „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლო შეს მოთავსებული. თუმთ „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოს დაბეჭდილია ორი ტავპურობრეულიც მიუწერ და მიუბეჭდიათ იმ ცრონის მწიგნობართ ქართველთ.

„ვეფხის ტყაოსნის“ პირველს გვერდზედ მოყვანილია შემდეგი: „გეფხის ტყაოსანი“ ამ ახლად დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა, ყამსა ამაღლებულისა საქართველოს მშერობელისასა, უფლისა გახტანგისა, შრომითა და წარსაგებელითა, მისი შემდეგისათა, გაიმართა სელითა სელმწიფის, ქარხს დეკანზის შეიდის შორელისათა, ქალაქ თევი-ჭალს, ქრისტეს აქეთ 1712 წ. დასაბამისონგან კიდერ აქამობდე 7220“. მეორე გვერდზედ მოთავსებულია ლექსი პატი-ვად ბაგრატიონთ შთამომავლობის შესახებ. მესამე გვერდზედ მოთავსებულია შემდეგი: — „მადიდებელი წმიდისა სა-მებისა მე გვარტომობით, ჩარ მოდგმაბით დავითიანების, მის ძებნის სახელ განთქმულის მეფის გახტანგისამან, მმისწულმან ქებულის არჩილისამან და დიდათ პატიოსნებს დევანისამან, მშერობელმან საქართველოსამან, გახტანგ — მოგიუგანე მესტამ-ბე კლაშეთით და გავაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთას, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის სულისა თუთასთვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის რუსულანისა და ძე-

თა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელათ“. მეოთხე გვერდზე დასატულ და ექცილილი სურათი ვახტანგ მეფისა. „ვეფხის ტყაოსნის“ უკანასკნელ ტაეპის შემდეგ მოთავსებულია შემდეგი ორი ტაეპი, რომელიც მოჯვეულს აქვე, რადგან აც ამ ტაეპს მცირო კავშირი აქვა ჩვენის სტამბის დაარსების ისტორიასთან:

„აწ დაბეჭდა სტამბაში, ჰირველ ნაწერი სელისა,
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,
მეფის გასტანგის ბრძანებით და სიბრძნით გეთილ მჭმნელისა,
და ნალვაწი მისის მღრცელის, მესტამბე მიქაელისა“.
«დაუსრულა ესე წიგნი, ქორონიკონს უნის სმელისა;
უგელაქასა უხაროდა, რიტორსა და ხმა უსულისა,
სამღრღოთა და საკროცა, გისიცა აქვს სმეხა გულისა,
და უსწავლელისა სიბრძნეს მისწევს, გონიერის გულს უსრულისა».

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ვალიახილამ საქართველოში მოსული მესტამბე მიქაელი, უნგრეთელი ყოფილა, ხოლო ვალახიაში მყოფი და აქვთამ უავის ხელოსნებით საქართველოში მოსულა. ამ მესტამბის და მის ამხანაგებთ ცხოვრების ცნობები ჩვენთვის დაფარულ არს, ისკი ვიცით, ესენი საყოველთაოდ საქართველოში დაშორებილან, ამათ აქ, საქართველოში, ქართველთ ძეთათვის შეუსწავლებიათ ქართული ასოების ხაზე, ყალიბების ამოჭრა, ასოების ჩამოსხმა, ამოწყობა, ბეჭდვა, შავი საბეჭდი წამლის კეთება, თვით რკინა-ხის დაზგების მომზადება-ცერთის სიტყვით სრული ხელობის ცოდნა სასტამბო სამეცების. სანაქებოთ ითვლება მათი ოსტატობა წითელ და შავ წამლით ქართული წიგნების ბეჭდვის ხელოსნობაში. რაც შეეხება ზემოთ მოხსენებულ კარის დეკანოზის შეი-

ლის მიქაელის ხსენებას-კი, ეს ჩვენ სულ სხვა პირათ მი-
გეხნია, სხვა მოღვაწეთ, კარის დეკანოზათ ჩვენ უნდა
სახეში ვიქონიოთ ქართველთ მეფეთა კარის ეკკლესიის
მოძღვარი, მაშასადამე ეს მიქეელი ქართველი კაცი, ქარ-
თველი მესტამბე უნდა იქმნეს, იქმნება მამ თავის ცოდნა
უნგრეთ-ვალახიელ მესტამბე მიქელ სტეფანეს ძისაგან
შეისწავლა.

უნდა ვსთქვათ, რომ უნგრეთ-ვალახიელ მიქაელ
სტეფანეს ძემ მოჰყინა ჩვენში სტამბის ხელოსნობის ოს-
ტატობა, ამ ხელობის ოსტატ ქართველნი ამან მოამზა-
და. მისი ასეთი შრომა ქართველ მეფეებთაგანაც დიდათ
პატივცემულ და ღვაწლ დებულ იქმნა, მიქაელი აზნაუ-
რის შვილობით იქმნა დაჯილდოებული 1710 წლებსვე
ვახტანგ მეფისაგან, იგი უნგრეთ ვალახიში აღარ დაბ-
რუნდა, საქართველოში დასახულა და აქეც გარდაიცვა-
ლა. XVIII საუკუნის ნახვას, აზისაგან დაზრდილ მე-
ტატამბებშა საქართველოში უკვე თავი იჩინეს. ესენი არი-
ან ასოთ ამომწყობი: რომანოზ რაზმაძე, ჩუბინიძე დავა-
თი მღვდელი, მარტივოფელი მღვდელი კვეშრაშვილი,
გიორგი პაიჭაძე, რომანოზ ზუბაშვილი, ანუ ზოგთაგან
ზუბალაშვილათ წოდებული და რამდენიმეც სხვა ასოთ-
ამწყობნი და მბეჭდავნი, პირველ ხარისხის ოსტატნი, თო-
რემ მეორე ხარისხის ხელოსანთ სახელებს ჩვენ აქ არ ვა-
სახელებთ. უნდა ესთქვათ, რომ ჩვენი სტამბების მოღვა-
წეთ ისტორიის ცნობები ერთობ დარიბია.

ჩვენდა საუბედუროთ, ქართველთ კეთილ დასაწყისს,
არ მიეცა დიდი ხნის დრო, 1712 წ. ვახტანგ მეფე სპარ-
სეთში მიიხმეს, ამის მამაც იქ იყო, მაგრამ საქმე ისე მო-
ეწყო, რომ ესეც უნდა უსაოულოთ წასულიყო, 1713 წ.
უკვე წავიდა. ვახტანგ მეფის განსვლამ საკმარხსად შეა-

ფერხა სტამბის საქმე, ამ სტამბაში, საეროთ „ვეფხის-ტყაოსანს“ გარდა აღარაფერი დაბეჭდილა, თუ იბეჭდებოდა რამ სასულიერო წიგნები. 1717 წ. კვალად დაიბეჭდია „ეუმნი“ 1720 წ. „კურთხევა ჩიკლესისა და ოდიკისა“ და ორი სამიც სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები. ეახტანგ მეფის სპარსეთიდამ დაბრუნების შემდეგ ამ სტამბაში 1722 გამოიცა „აითი“ ანუ ცის ქმნულება, ე. ი „კოსმოვრაფია“ სპარსულიდამ ნათარგმნი თვით ვახტანგ მეფისაგან, ამ წიგნთან ერთათ სხვა წიგნებიც იძეჭდებოდენ, მაგრამ მათ აღსრულება ვერ მიეცენ, ორი წლის განმავლობაში ვას. მეფეს რამდენ გზისმე მიეცა შემთხვევა სპარს-ოსმალებთან ომებისა, ერთ წელს განჯაზე სამჯერ იყო. სტამბის საქმის მართვის დრო აღარ ჰქონდათ. 1723 წ. ლევთა და ოსმალთ თფილისი დაიპყრეს. ქართველთა სტამბის იარაღი მიწაში დაფლეს, დამალეს, სტამბა მოიშალა სრულიად. 1724 წ. ვახტანგ მეფე თავის სახლობით, დიდის ძალის თავად-აზნაურობით, სამღვდელოებით, ძვირფასის ნივთებით, ოქრო-ვერცხლით და ძველის ქართულის წიგნებით რუსეთში გადასახლ დენ. ქართლი უპატრონოთ დასტოვეს. ამ გარემოებამ დიდი მეხი დაარტყა ქართლს. ქართლის უპატრონო ხალხი მაინც სულით არ დაეცნენ, მიეცენ ლწვას და უკანასკნელ თფილისიდამ ოსმალნი განაძევეს, ლევთი მოსპეს, თფილისი გაანთავისუფლეს.

ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლის ტახტზედ თეიმურაზ მეორე ავიდა, ამის მეფობის დროს სტამბაც განახლდა. საჩქაროთ მოძებნეს სასტამბო იარაღები, ყველაფერი მოაწყვეს და მალე განტხადდა სტამბის დაარსების ცნობა. განახლებულ სტამბის გამგებლათ იგივე პირები იქმნენ დანიშნულნი, ვინც ვახტანგ მეფის დროს განაგებდენ. ამ

დროს ქართველთაგან სტამბის შეგირდებიც განამზადეს. მეფის თეომურაზის ბრძანებით განახლდა ქართული სასულიერო წაგნების ბეჭდვა, მის მეფობაში რამდენიმე წიგნი გამოიკა. თეომურაში მეფის შემდეგ გამოფდა აյ მისი ირაკლი 11-რე, ამის მეუღლის დროსაც შესაუერათ წავრდა სტამბის საქმე, ხელმეორედ დაიბეჭდვენ საეკლესიო წიგნები. საერთო გამოიკა ლაცვები ქართულის ანბანებით. ამ დროებში დაიხოცენენ ყველა ის ოსტატნი, რომ ქლინიც ვახტანგ მეფის, სტამბის დროიდამ განაგებდენ, ამატომ მათ მავიერ სხვა ხელოსნები გამოვიდენ, სტამბის უფროს ზედამხედველათ დანიშვნულ იქმნა მესტამბე, მარტყოფელი მღვდელი დავით კეშერაშვილი.

ამ დროს, სტამბა, მეტერს ეკკლესიის ვალავანში იყო შოთავებული, საღაც XVII საუკ. როსტომ მეფე სახლობდა, დღეს იმ აღაგას საპატიმროა გამართული. 1750 წლებში, სტამბის და წიგნების ბეჭდვის საქმე ისე წავიდა, რომ წიგნების საბეჭდათ ცენზურაც იქმნა დანიშნული. ამ წლების შემდეგიდამ ლოცვის წიგნებში ქართველთ მეფეთა სახელების მოხსენების ბეჭდვაც შემოიღეს; მაგალითებრ: მეფის ირაკლის დროს, დაბეჭდალს „დაუჯდომელში“ მოხსენებულია მეფე, დელოფალი და მეფის ძენიც. 1784 წ. თაფილისში გამოიკა „კურთხევანი“ პირელ ფურცელზე აი რა წარწერა აქვს მიზეცდილი: — „სადიდებელად... დროსა უღველად უბრწყინვალესია, უკეთილმსახურესია და უმაღლესია ირაველი მეორისა, მეფისა უღველისა საქართველოსია და კეთილ მორწმუნისა დედოფლისა დარუან, ჯადანის ასეულისა და კეთილ მორწმუნეთა მეფის ძეთა და ასეულთასა, კურთხევითა უნეტარესია და უწმიდესია მეფის ძის ანტონი, პატრიარქისა უღველისა საქართველოსის, ჩლენის უწმიდესის სისოდისათა, დაიბეჭდა წიგნი

ესე, საბჭოთა კურთხევანი, სამეფოსა ქალაქსა თფილისს, პა-
ლატსა სამეფოსა, წელსა დასაბამითგან სოფლისა კხუბ, ხო-
ლო განხორციელებიდგან სიტყვისა მღვთისა ჩდგდ თვესა
თებერვალსა რაცხესა „“. მეორე გვერდზედ დაბეჭდილია
ბაგრატიონების გერბი. ამ ცნობაში საყურადღებოა ის,
რომ ანტონ კათალიკოზი რუსეთის უწმინდესის სინოდის
წევრათ არის მოხსენებული. ამ გარემოებას ისიდი ყურა-
დღება უნდა მიექცეს ოდესმე და ცნობები გაირკვეს კარ-
გათ. ამის მნიშვნელობის ჩვენ არა ვიცით რა.

როგორც გამოვარკვიეთ, წიგნები ყოველთვის სამე-
ფოს საფასით უბეჭდავთ. მხოლოდ 1793 წ. მღვდელ
ქრისტეფორე კეშერაშვილს, თავის ხარჯით რამდენიმე
წიგნი დაუბეჭდია. მაგალითებრ აი რას სწერენ: — „ღრა-
მატიასი კანონის ზედა განმარტვითა შრობის (!) მართვითა
მისის უწმილესობის მონისა, ახსიმანდრიტს ტრიფილესთა,
ხელითა მესტამბე რომანთზ ზჟაბაშვილისათა, მებრძნა უმ-
თადმისახურესისა და უმაღლესისა ხელმწიფისა ურკვისა ხა-
ქართველობისა, ირაფლი მეორისა, მე, მისსა მონასა, მისის
უმაღლესობის კარის მღვდელი, მარტივოველისა ქრისტეფორე
პეტერაშვილისა განგება და ზედაშეცდებულისა სტამბისა, რომ-
ლისა სურალი ფრიად მაქანდა და დაკბეჭდე შრომითა და სა-
ფასითა ჩემითა; მხედრული „დაუკადოებული“ 700 ც. „გრტა-
ის სიბრძნე“ გაიოს ნაცვლიშვილის თარგმანი 700 ცალ
დოცვანი 1000 ც. სასაკედა 1000 ც. გვალად სასირება
1000 ც. და მარსებანი 10.00 ც. შეწერითა ყრკვად წმიდა-
სა სულისათა ესე ყოველი ზემოხსენებული წიგნი დამიბე-
ჭდავს ხარჯითა ჩემითა, აღსამაღლებლად გახსამლებულ-
დად უფლისა ჭემის, მეფის ირაფლის, და საოცხდო როდენ-
დისა სულისა ჩემისა, რომელიც კმოქენება-მსხლელულთაგან
შენდობისა“. აქ უნდა ვსოდეთ, რომ დავით მღვდელი

კეშერაშვილი და ქრისტეფორე მღვდელი კეშერაშვილი
ჩვენ მაშა და შვილად მიცვაჩინია. შვილს მამისაგან უნდა
ესწავლა სტამბის მართვა და ხელობა.

საუბრებუროთ ვერც ამ სტამბას წაუვიდა საქართველო
დანიერათ, 1795 წ. მრისხანე ხვედრმა მასაც მოუსო
თავისი ცელი. სტამბის სტანკების და საჭირო იარაღის
ზოგი აფლაბარში, მიწაში ლაფლეს, ზოგი გორისაკენ წა-
ილეს და იქით შეინახეს. მტრის განსვლის შემდეგ, და-
ვით კეშერაშვილს მეფისაგან ებრძანა სტამბის მოხერხება,
განწყობა ხელ ახლავ, იგი შეუდგა იარაღის მოკრებას,
მალე მოკრიბა და 1796 წ. ამ სტამბაში რამდენიმე ვრცე-
ლი სასულიერო შინაარსის წიგნებიც გამოიცენ. 1798
წ. მეფე ერეკლე გარდაიცვალა, გამეფდა ძე მისი გოორ-
გი XII-ე. სტამბის მფარველობა მეფის გამგეობის ქვეშ
გადვიდა, მეფემ მასვე დ. კეშერაშვილს მიანდო ზედამხე-
დველობა. ამის მეფობაშიაც რამდენიმე გამოცემა იქნა,
ლოცვის წიგნები ინჟინერობით, სამეცნ დავთრები, საჭი-
რო განცხადებები ფურცლებათ, გაზეთის მსგავსად, ქსე-
თი ფურცლები ბეჭდვა ერეკლეს დროსაც ყოფილა, მავ-
რამ მათ ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. 1798 წ. ამ სტამ-
ბაში დაბეჭდილა რაღაც გაზეთის მსგავსი ფურცლები,
რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული ყოფილა მეფე
ერეკლეს გლოვა და გიორგის ქება ლექსად, ამაებს გარ-
და სხვა-და-სხვა ცნობებიც ყოფილა მოთავსებული. ძველ
კაცებთაგან ამბათ არის დაშთენილი, რომ ასეთი ნაბეჭ-
დი ფურცლების დრო და დრო გამოდიოდინ. ამ ფურ-
ცლებს ბატონიშვილებს და ლიდკაცობაში არიგებდენო,
მცირე რიცხვიკი უბეჭდავთ. სხვა-და-სხვა საჭირო გან-
ცხადებათა ბეჭდვა რომ მაშინაც ყოფილა, ამას ამტკი-
ცებს შემდეგი მაგალითი: XVIII საუკუნის დამლევს,

რუსეთიდამ საქართველოში ჩამოვიდა დამსახურებული გა-
პრიელ მაიური. გაბრიელ მაიორს განათლება რუსეთში
მიეღო, იქვე ემსახურნა, სამსახურის გათავების შემდეგ
თფილის ში გადმოსახლებულა, სამშობლოში. საქართვე-
ლოს დედა ქალაქ თფილისსა და ოცნების პირველად აშარ
გამართა ქართული წარმოდგენები. ამ წარმოდგენების-
თვის მას ბილეთები სტამბაში დაუბეჭდია. ერთმა ბილეთ-
მა ჩეენ დრომდისაც მოაღწია, ზედ ასე აწერია: — „შეური
თრი, გაბრიელ მაიორი“ ე. ი. ბილეთი ორი შაური. ეს
გაბრიელ მაიორი ქართველი იყო, დიდი ერთგული მე-
ფისა, 1795 წ. უბეჭურს მოში მან ვაჟკაცურათ იბრძო-
ლა, მიტომ იგი ცხარე ბრძოლის დროს დაკუწულ იქმ-
ნა ნაჭერ-ნაჭერ სპარსთაგან. რაც შეეხება ამის წარმო-
დგენების შესახებ ცნობებს ამას ჩეენ სხვაგან დავწერო.
1799 წ. ხსნებულ სტამბაში გეჭდვა დაწყებინა დავით
ბატონიშვილმა, თავისაგან შედგენილის „ნარკვევის“,
რომელიც 1800 წ. ცალკე წიგნეთ გამოვიდა, ეს „ნარ-
კვევი“ არის შემოკლებული ისტორია სხვა-და-სხვა ტომ-
თა. შიგვე დაკავშირებულია საქართველოს ისტორიაც.
1800 წ. რამდენ ნაირიმე განცხადებები, სამეფო დავთ-
რები, ლექსები და სიტყვები დაიბეჭდი. მეფე გიორგის
სიკვდილის შემდეგ, საქართველო რუსეთს ჩაბარდა, სტამ-
ბის საქმეც ცულათ წავიდა, ამიტომ 1801 წლის ნახევარს
სტამბა გაუქმდა. მის ყურისგდება არავის უნდოდა, ყვე-
ლა თავისკენ იწერდა, ბატონიშვილებსაც გადასახლება
უხდებოდათ, სტამბის მართვისთვის აღარავის სტალიდა.
ანტონ კათალიკოზმა დაუწყო სტამბას მფარველობა, ესეც
დროებითი იყო, ამის მფარველობის დროს ამ სტამბაში
არა დაბეჭილთ რა. 1804 წ. სტამბის იარაღი და ყო-
ველისფერი მოწყობილება რუსეთის მთავარ-მართებელს

გარდაეცა. მთავარ-მართებელმა, სტამბას ჯეროვანი ყუ-
რადლება მიაქცია, მისთვის რუსეთიდამ გამოიწერა ზოგი
ერთი საჭირო რამ იარაღები, ქალალდი, მასთან
რუსული ასუებიც შეა 1805 წ. ვახსნილ იქმნა ძვე-
ლი სტამბა. 1805 წლის შემდევიდამ ამ სტამბა-
ში ქართული წიგნის ბევრი აღარაფერი დაბაჭდილა რა.
იბეჭდებოდენ მხოლოდ ქართული ლოცვის და ანბანის
წიგნებია, მასთან რუსეთის განცხადებები, საქართველოს
მთავარ-მართებლებთა ბრძანებანი, განკარგულებანი და
სხვა-და-სხვა დარიგებანი, ყველა ესენი მარტოთ ქართულს
ენაზედ იბეჭდებოდენ. 1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა
ქართული გრამატიკა. მასთან რუსულ-ქართულის „რაზ-
ლავორის“ წიგნი, ლოცვანი ანბანითურთ, 1811 წ. დაი-
ბეჭდა ვარლამ არხიეპისკოპოსისაგან შედვენილი საქარ,
თვეელოს სამღვდელოების, ბერების, ეკკლესიების, მონა-
სტრეპის, მათის მამულების და სხვა-და-სხვა საქმეთა აღ-
წერანი, რომელიც წარმოგენილ იქმნა საქართველოს მთა-
ვარ-მართებელთან, მთავარ-მართებელმა ეს აღწერა და
მოსაზრება რუსეთის უწმინდეს სინოდს ვაუგზავნს და
უმაღლეს მთავრობასაც.

ეს აღწერა ჩვენ ვნახეთ, მასში აწერილია იმ დროის
საქართველოს ეკკლესიების და მონასტრების რიცხვი,
მღვდლების, მთავრების, დიაკონების, არქიმანდრატების,
ეპისკოპოზების, ბერების, მონასტრების, მამულების და
მათი შესავალ-გასავლის, თან დართული ჯვეს რჩევა, რომ
თუ მთავრობა აქ ჩამდე ცვლილებას დაინახავს საჭიროა,
მაშინ კათოლიკოზობა გაუქმდეს და მის მაგიტ განწეს.
დეს ევგზარხოსი, როგორც ეს ბოლგარიაში არის. სა-
ქართველოში მცოფ ეპისკოპოზებს დაენიშნას ამდენ-ამ-
დენი ჯამაგირით, ცვლილება ამ არხიეპისკოპოსის წეს-

დების თანხმათ მოხდა, პირველ ეგზარხოსათაც ესევე იქმნა დაწიშნული, ხოლო ანტონ II კათალიკოზი რუსეთს გადაიყვანეს, სადაც იცხოვრა და გარდაიცვალა. 1814 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული სახარება მხედრულათ, მცირე ხნის შედეგიდამ სტამბა გაფართოვდა, ახალი ასოები შეიძინეს და ამ სტამბაში 1817 წ. ქართული გაზეთიც გამოიცა. დღევანდელი კავკასიის მთავარ-მართებლის სტამბის დრო 1707 წ. მისწვდება, ეს სტამბა იქიდამ არის გადმოკეთებული. ცხადია, რომ დღევანდელ სტამბის საწყობში ბევრი რამ ძველი ნითები და იარღები იქმნება დაშთენილი, როგორც ვახტანგ მეფის სტამბის დროის,

ამ სტამბას, 1829 წ. მოემატა მეორე სტამბა, კერძოთ ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდათ. მეორე სტამბა გახსნილი იქმინა სოლიმონ დოდაშვილისაგან, ბერის ივანე ხელაშვილის საფასტო, რომელ ბერიც ბატონიშვილებს გადაჰყენა რუსეთში და იქ საქოვრებდა. აქედამ ჩვენ მიუბრუნდებით ისევ XVIII საუკუნეებს და ავწერთ იმ სტამბებთა ცნობებს, რაცა-კი ხსენებულს საუკუნეებში რუსეთში დაიხსნა, მერე საქართველოში დახსნილებს შევეჩებით.

ვახტანგ მეფის შვილები მწიგნობარნი იყვნენ, ესენი რუსეთში მოსვენებით სცხოვრობდნენ, მათ ძრიალ ეთანალრებოდათ გული საქართველოს შესახებ. ბაქართა და ვახუშტიმ განიძრახეს ქართული სტამბის დაარსება. ამისთვის მათ აიღეს ნება-როვა, ჩამოასხმევინეს ქართული ასოების ყალიბები, ასოები და 1734 წ. სტამბა გახსნეს მოსკოვის ახლოს, სოფ. „ვახესვიარკოვში“ სადაც იწყება საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა და მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე ნაირი წიგნიც აღმცენდეს.

ამავე დროს, რუსეთის ეკკლესიის წინაშე მსახურებლა იოსებ სამებელი, ეპისკოპოსი, კაცი მწიგნობარი, სამღროთო წერილის კარგათ მცოლნე. მაღალის ენერგიით დაჯილდოვებული, მას დიდი სიყვარული ჰქონდა საქართველოს და ქართულის მწიგნობრობის, მას დიდათ ენატრებოდა, რომ საქართველოშიც აღმოჩინდებულიყო საჭირო წიგნების ბეჭედის ოსტატობა იმ კვალათვე, როგორც ეს მის დროს რუსეთში იყო. ამის ნატორა აღრიდანვე ჰქონდა, მიტომ იგი შეუდგა სამზადისს, რასაც ჯამაგირს იღებდა, იქიდან მონარქენს ქართულის სტამბისთვის ინახავდა. ამ საქმრსთვის დიდათ იშრომა და უკანასკნელ მოახერხა მოსკოვში გადასვლა, იქ ვახტანგ მეფის შეილებთან დაახლოვება და სტამბის გახსნაშე ცდა. ამ საქმეში ბატონი-შვილებმაც განუზიარეს თანაგრძობა. ბაქარ ბატონი-შვილისაგან ჩამოსხმულ ყალიბებით ჩამოასხმევინა ქართული საჭირო ასოები, შეიძინა ორი სტანკი და 1735 წ. მოსკოვში, ბაქარ ბატონიშვილის სახლში, უწმინდესის სინოდის ლოცვა-კურთხევით, გახსნა ქართული სტამბა, სტამბაში მოთავსებული იყო ხუცური და მხედრული ასოები.

ვიდრე სტამბას გახსნიდა, მინაშ იოსებ სამებელს წიგნების ბეჭედის გეგმა შეედგინა. პირველ საბეჭდ წიგნად „დაბადება“ დაენიშნა. ამ აზრისავე იყო ბაქარი და ვახუშტიც. როგორც იოსებ სამებელს ესწორებინა ქართული „დაბადება“ რუსულ და ბერძნულ „დაბადებასთან“ ისევე ვახუშტის და ბაქარს ემუშავნათ „დაბადების.“ შესწორებაზე. შემდეგ ამათ ორივ შრომა ერთად შეაერთეს. იოსებ სამებელმა საქმე ისე მოაწყო, რომ ბაქარის მიერ დაფუძნებულ სტამბაც თავის სტამბას შეუერთა და ამ სტამბაში მათ იწყეს ქართულ-ხუცურ და მხედრულ

წიგნების ბეჭდვა. სტამბის ზედამხედველებათ ანუ მუშა-
კებით დანიშნულ იქმნენ: ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე
გურამიშვილი და მლვდელი ფილიპე, ეს ფილიპე იმერელი
იყო, მოსკოვში მსახურებდა მლვდლად, 1750 წ. დაქვრი-
ვებულა, იოსებ სამებელთან უმსახურნია, შემდეგ საქარ-
თველოში მოსულა, ანტონ პროველს ფისკოპოზათ უკურ-
თხებია, ხოთის კათედრაზე დაუნიშნავს, ოსმალთ აოხრე-
ბის მეოხებით ეს კათედრა გაუქმდა, ფილიპეც რუსეთში
გარდასახლდა, იქ გარდაიცვალა. ამ სტამბაშივე მოლვა-
წეობდა დავით მლვდელი. ზედა-მხედველებათ დანიშნულ
იქმნა ვახტანგ მეფის მდივნათ ყოფილი მელიქედევკ აბე-
ლისშვილი კავკასიონე. სტამბის გახსნაში თავის საფრი-
დიდათ ეხმარებოდა ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურა-
მისშვილი.

1735 წ. დაარსებულს. სტამბაში, წიგნების ბეჭდვა
მხოლოდ 1736 წ. დაიწყეს. ხუცეს-მონაზონ ქრისტეფო-
რე გურამიშვილმა თავის შრომით გამოსცა შემდეგი წიგ-
ნები: მარხვანი, ზატიკი და აჩბანის წიგნი. ეს
მლვდელი ქრისტეფორე გურამიშვილი ყოფილა მარ-
ჯვენა ხელი იოსებ სამებელისა. ამ სტამბის დაარსე-
ბის ისტორიას აი რაგვარ მოგვითხრობს თეით დამაარსე-
ბელთვე კალამი: — „ოდეს იშერობდა და განხებდა კეთილად
გამგებელი, კეთილ-მორწმუნე და თვით მშერობელი სრულად
რუსეთისა დიდი სელმითუ იმშერატრიცა ანს იოანესი, შას
უამსა იგულისმოდგინა ყოვლად სანატრელმან არქიეპისკოპოს-
მან კლადუგისმან და არხიმანდრიტმან ურეკისმან, გართა მდირ-
კან მწიგნობართ უხუცესის ქობულის თამაზის ძემან, სამე-
ბელმან იოსებ და მიბრძანა მე, ყოვლად უღირსსა გურამისა-
შვილს მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გაკე-
რება და გაგაეთებინგთ დიდის გული მოდგინებით და წარგა-

ბითა საფეხითა მისითა, და დაიძეჭდა დავითნი, ზატიგი და სახარება. “ ამ ცნობილან სჩანს, რომ ქართული სტამბის დაარსების ნატვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის სასულიერო პირთაც დიდად სურვებიათ. ამათ შემდეგ ამავე სტამბაში გამოსუცია სხვა-და-სხვა წიგნები ქრისტეფორე გურამის შეილს. იმავ დროს, კახეთის მეფის არჩილის ასულის კარის დეკანიზს გიორგი ლამბარაშვილს დაუბეჭდია „მარხვანი“. ამის გასწორებაზე ამათაც დიდათ უმუშავნიათ. ამაზე აჩ რას სწერს თვით დაშეჭდი: — „ძალითა ღვთისათა, ვიშრომეთ და ვიღვაწეთ წმინდისა ამის „მარხვანისა“ მე, უღიარსმან ქრისტეფორემ, კახეთის მეფის არჩილის კარის დეკანზემან გიორგი ლამბარაშვილმა და სხვითა ვიკონტ შეწებითა და შეწებითა მოვიღეთ რუსელი „მარხვანი“ და რთხი ჩენის ენისა, და როგორც რუსელ „ტიბიკონს“ და რიგი უჩნდა ისე იმ რუსელ „მარხვანზე“ ვასწორეთ და ისე შეგვრიბეთ ნუსხითა“. შემდეგ მოთხრობილია, რომ რაც ჩევნში აკლდა იმას რუსულით გიორგი ლამბარაშვილი სთარგმნილა და შით ვავსებდით, ასეთი შევსებული და ეტეჭდებო. ჩენ, თფილისში, დაბეჭილი „მარხვანი“ გვეკავაო. ეს მარხვანი მეორეთაც დაბეჭდეს 1741 წ. ამავე წელს იოსებ სამებელმც დაწყებინა ბეჭდვა ქართულის „დაბადებისა“ ვრცელის ზომის, ამის შემუშავებაზე დიდი შრომა მიუძლვისთ ვახუშტის, ბაქარს და ნამეტურ იოსებ სამებელს, გამოსაცემი ხარჯი თვით ამისი იყო. ეს „დაბადება“ დამთავრდა და გამოიცა 1743 წ. გამოცემის ბოლოში ვახუშტის წერილი აქვს მოთავსებული, იგი მოვითხოვთ „დაბადების“ გასწორების, შეცდომების სწორების და ბეჭდვის ისტორიას. „დაბადების“ შემდეგ ზოგიც სხვა წიგნები გამოიცენ განმეორებით. ყველა ამ წიგნებს სწრაფათ გზავნილნენ საქართველოში და აერცე-

ლებდნენ სამღვდელოებაში. ამასბაში მოახლოვდა 1750 წლები, იოსებ სამებელი საქართველოში აპირებდა გადმოსცლას და თან სტამბის გადმოტანასაც, მაგრამ ეს მას ვერ მოუხდა, იგი გარდაიცვალა 1750 წ. და ყოველივე მისი აზრები ჩაფუშულ იქნა. უნდა ვსოდეთ, რომ იოსებ სამებელს რომ თვილისში თავის სტამბა გადმოეტანა, მაშინ აქ ძრიელ ბევრი წიგნები დაიბეჭდებოდენ. ოგი სტამბა მდიდარი იყო და მჟორე თვით იოსები და მისი მომხრენიც გამოცდილი იყვნენ წიგნების ბეჭდვაში. საეკლესია წიგნებს გარდა იგინი უსათუოდ საერთო წიგნების ბეჭდვასაც დაიწყებდენ. თვილისში მაშინ ეს მეორე ქართული სტამბა იქნებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

იოსებ სამებელი თავადის შეილთაგანი იყო, გვარად ქობულაშვილი, თავის დროზ კვალათ საკმარისად განა თლებული, მცოდნე რუსულის, სლავიანურის და ბერძნულის ენების. იოსებ სამებელის სტამბა დარჩა მოსკოვს სამუდამოს. მის ჰედამთედველობა ბაქარ ბატონიშვილს და რამდენიმეც სხვა მღვდელ-მთავრებს ებარათ. იოსებ სამებელის სიკედილის შემდეგ იქ შესწყალი წიგნების ბეჭდვა. 1755 წ. ტფილისიდან გაჩდევნეს რესეტი ანტონ საქართველოს კათალიკოზი. ეს მივიდა რუსეთის კარი სადმი, უკანასკნელ ჯი დანიშულ იქმნა ვლადიმერის და იეროპოლის ეპისკოპოზთ. ამან იმეცადინა და 1759 წ. იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაატვირთა, დაძინებული სტამბა იქ გააღვიძა, იქ გამართა და 1760 წ. წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. სხვათა შორის გამოსცა „გლეჯ სარწმუნოების“ ვახუშტის ნათარგმნი. „თვენი“ მეორეთ. ქართულ-რუსულ-ლითინურ ბერძნულ ანბანი და ზოგიც სხვა წიგნები. ანტონის საქართველოში დაბრუნების შე-

მდეგ ეს სტამბა დახურულ იქმნა. ანტონის სტამბის გარდა 1761 წ. მოსკოვში მეორე სტამბა გახსნა ტფილელ მიტროპოლიტ ათანასე ამილახვარმა. ეს ათანასე 1759 წ. მეფე ირეკლესაგან რუსეთში ელჩათ იქმნა გაგზავნილი, ეს თანამომხრე იყო ვახტანგის ოჯახის დაწინააღმდეგი ერეკლესი, ამიტომ რუსეთიდან აღარ დაბრუნდა, რუსის ქვეშვრდომობა მიიღო. მეფე ერეკლემ რუსის მთავრობას ორჯელ სთხოვა ამ მიტროპოლიტის დაბრუნება, მაგრამ საქმე ეკრ მოხერხდა. ამან თავის სტამბაში გამოსცა შემდეგი წიგნები: სამოციქულო, დავითი, ლოცვანი, უამნი, დაუჯდომელი და 1767 წ. „პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. ანტონ კათალიკოზის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვლადიმერის სტამბაც ამ ათანასემ შეიძინა, მოსკოვს გადაატანინა და თავის სტამბას შეუერთა. ამისევ დროს დაიბეჭდნენ რამდენიმე ხაერო ლექსი და იამბიკოები ბაქარ ბატონის შვილისა, ათანასე მიტროპოლიტი ვარდაიცვალა 1774 წ. და დასაფლავდა დონის მონასტერს. ამის შემდეგ სტამბა კარგა ხანს არსებობდა, იქ სხვა-და-სხვა წვრილი სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა. უკანასკნელ ყველა ეს სასტამბო იარაღები და ნივთები მოსკოვის უწმინდესის სინოდის საკუთრებად გახდა, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა მოსკოვს გადიტანეს, ეს ძველი სტამბა განაახლეს და იქ დაიწყეს ბეჭდვა. მოსკოვში ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა გაგრძელდა 1860 წლებამდის. ამ დროთა სტამბის მმართველთ მოღვაწეობა იქმდეს უფერულია, რომ მასზე საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია.

XVIII საუკუნის ნახევრიდან, რუსეთში, ქართველთ სამლოდელოებამ ერთობ ხშირათ იწყეს. გამგზავრება, ხე-

ნებულ საუკუნის შესამე ნახევრამდის, ქართველთა ბინას
მოსკოვი შედგენდა, შედეგ კი მათ პეტერბურგშიაც
იჩინეს თავი, ნამეზურ ეკატერინა იმპერატრიცა მეორეს
დროიდან. სხვათა მრავალთა შორის, პეტერბურგში იმ
დღის, სკხოვნებდა ქართველი ეპასკოპისა, გრიგოლ ხა-
რჭაშნელი. ამანაც იღვაწა და 1786 წ. პეტერბურგში
გახსნა ქართული სტამბა, საღაც სხვათა შორის 1789 წ.
დაბეჭდა ქართული სახარება. სხვა წიგნების ბეჭდვაც.
ჰქონია ამ ეპასკოპიზე დაწყობალი, შავრამ დამთავრება
ველარ შესძლებია. მის შემდეგ ეს სტამბა მაითვისა გარსამ
არხიერპისკოპზე, საქართველოში პირკელ ქართველთ
ეგზარხოსათ ყაფილმა, სტამბა განაახლა და განავრცო.
აქ დაბეჭდა მან ქართული „ოვენი“ სახარების ახსნა და
ზოგიც სხვა წიგნები. 1815 წ. იქევ დაიბეჭდა ლექსილ:
„ქეთევან დედოფლის წამება“. შედგენ-ლი დიმიტრი
ბაგრატოვანისა, 1812 წ. რუსთა ლაშქრის მხედარ მთა-
ურის ბაგრატოვანის ძმის. ვარლამ ეგზარხოსად ყოფილი
პეტერბურგის ქართული, სტამბის გახსნის საქმეს ასეთის
ქახრუსაულის ლექს ს კილომი შეამკობა:

„ლეთის შეწევნითა, ზესთა ზენითა,
მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული.
ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა,
ვარლამ ლვაწლი კმა გამართული.
ვინ იყო მელად, ახტალის მწყემსლად,
აწ რუსთ სინოდის წევრათ შართული,
გიძლვნესთ ივერთა, ამერ იმერთა,
წიკნს დღესასწაულ მბეჭდველი სრული,
მასთან იონა, ვინ არ იონა,
შრომის მოყვარე ცენზორობითა;
მიტროპოლიტმან გამშინჯ-გამპერეტმან,
გედეონის ძემ ძველ გვარობითა.

ნიკიფორითა მკითხეს სწორითა,
იგულს მოდგინეს საკმარობითა;
კეთილ შობილმან პაიჭაძემან,
მესტამბეჭ ყოვლით სახმარობითა.

ამ სტამბის გახსნით იწყება საფუძველი პეტერბურგ-
ში ქართულის სტამბის გაძლიერებისა, თეოთ სამეცნიერო
აკადემიის სტამბის ნიადაგის განმტკიცებაც ამას მიეწერე-
ბა, რომელ სამეცნიერო აკადემიის სტამბაშიაც პროცეს
და ჩუბინაშეილმა გამოსცეს 1840—1863 წლებამდე „ქარ-
თლის ცხოვრება“ ვახუშტის გეოგრაფია, ქართულ-რუ-
სულ-ფრანგული სლავარი, ქრისტომატიები, ორანჟ შავ-
თელის „საპატექო ცხრილი“ „ეგფხის-ტყაოსანი“ რაზდენ-
ჯერმე, „სიბრძნე სეცურუ“ ქართული გრამატიკები ა. ჩონ-
გური“ ლექსთა კრება კ. ლორთქიფანიძისაგან 1865 წ.
და 1869 წ. „კაცია აღამიანი“ ილ. ჭავჭავაძისა და რა-
მდენიმეც სხვა წიგნები. უნდა ესთქვათ, რომ მოსკოვის
ქართული ასოები და პეტერბურგისა ერთმანერთისაგან
დიდათ განირჩევიან. პეტერბურგის უფრო მოსაწონია,
მის ყალიბები XIX საუკუნეშია შედგენილი და მოს-
კოვისა კი ძველია. ღლევანდელ ჩვენ აკადემიურ ასოე-
ბის ყალიბებს ნათებავობა 1712 წ. თბილისში გამო-
ცემულს „ვეფხის-ტყაოსანის“ ასოების ყალიბებთან აქვს
მოსკოვის კი მეტათ განკურძოებულის თვისებისა არის,
მათ რამდენიმე ქართველთ სასულიერო წოდების პირთა
სახის ბეჭედი ატყვია. ეს უფრო რთული სამზერ საკით-
ხია, პეტერბურგის კი მეტათ მარტივი, კოხტა, ნამეტურ
წვნიკი ასოებია. პეტერბურგის სტამბაში პაიჭაძეს შემდეგ
შეტათ მცდელი ხელოსანი ყოფილა მესტამბეჭიძე, რუსეთ-
ში მყოფ ყველა ბატონიშვილების მომსწრე. რაც-კი პეტერ-
ბურგს ან მოსკოვს XIX საუკუნეში ხუცური და მხედ-

რუსი წიგნები დაიმექადა, სულ ამ ამომწყობლის ამოწყობილი ყოფილია. 1841 წ. გამოცემულს „ვეფხის ტყათსნის“ ბოლოზე მარი ბროსესაგან მიპეტილია შემდეგი ტაქტი, საჭაც მოიხსენებენ ტაპიძეს ასე:

„სეიმონ მესტამბე ტაპიძე, შეკლდვაზე იყო მცდელია, დავაეჭდეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძველის-ძველია“. და სხვანი. ზემოხსენებულ სტამბებს გარდა რუსეთში, კრემენჩუგსაც ვამოიცა ქართული წიგნები. აქ ვიტყვით ამაზეც მცირედ.

XVIII საუკ. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ხანა უკვე თხლოვდებოდა. ამისთვის გამართული იყო მიწერ-მოწერა. ორივე შხარეში საჭირონი იყვნენ რუსულ-ქართულ ენების კარგად მცოდნე პირები. ერთი ასეთაგანია ვაიოს ნაცვლიშვილი, მოწაფე ანტონ კათალიკოზისა, რომელმაც სწავლა მოსკოვის აკადემიაში დაამთავრა 1768 წ. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და 1781 წ. თელავის სემინარიის რექტორ-თიქმნა დანიშნული, ამ დროს იგი არქიმანი როტაზ იყო. მცირე ხნის შემდეგ რუსეთის მთარიობის დავალებით მან რექტორობას თავი გაანება და რუსეთში გადასახლდა, იქ ეს დიდის პატივით მიიღეს, დანიშნულ იყო უცხო ქვეყანათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენას მთარგმნელათ. შემდეგ გარემოებამ კრემენჩუგს ვასტყორცნა. იქ ეს ამაღლება არ დაშოთა, იქაურს ერთს სტამბაში მოაპოვებინა ქართული ასოები და 1793 წ. ვამოიცა 1) „ქართული გრამატიკა“, 2) 1798 წ. „საცისკრო ლოცვანი“, 3) „მცნება ვასილის ბერძნო მეფესა“ და რამდენიმეც სხვა წვრილი წიგნები. წვრილ წიგნებისამ ჩვენ დურომდის ვერ მოაღწიეს. მიზეზი წიგნებთა მცირე რიცხვის ბეჭდვა უნდა ჩაითვალოს. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების

შემდევ, გაიოს ნაცვლი შვილი ეპისკოპოზის ხურისხით
მოზღვის და ყიზლარის კათედრაზე გადმოიყვანეს. ესე-
ვე ვანავებდა ოსეთის სამქადაცებლო კომისიის საქმესაც.
აქ, ეპისკოპოზის დროს, ყიზლარშიაც გაუხსნია ქარ-
თული სტამბა და ორი თუ სამი წიგნი დაცებეჭდია, ამ
წიგნების მოპოვება ერთობ იშვიათია. 3. უმიკა შვილის
სიტყვით, სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავში ინახება
მხოლოდ ორი წიგნაკი. სხვაგან არსად არაფერი დაშთე-
ნილა. ამ სტამბის ისტორია ჩვენთვის უცნობათ არის
დაშთენილი, თუმც გაიოსის ცხოვრების შესახებ ნიკო-
ლოზ მთევრელი შვილისაგან საკმარისად საფუძვლიანი
მონოგრაფია გვაქვს ქართულს მწერლობაში.

რუსეთის სტამბების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ
ზემოხსენებულს სტამბებს გარდა პეტერბურგს და მოს-
კვეს სხვა-და-სხვა უცხო ტოპოს სტამბებშიც მოიპოვე-
ბოდა ქართული ასოები, სადაც ქართულს წიგნებს თუმც
არა ხშირად, მაგრამ ხანლისხან მაინც ბეჭდავალენ. ასეთი
იყო ფირალოვის, მეფე გიორგის მდივნათ ყოფილის, ქარ-
თული გამოცემანი და ზოგიც სხვა მწიგნობართ ქარ-
თველთა, მაგრამ ამ სტამბებთა ცნობებს ჩვენ არ ვეხებით,
რადგანაც მათს არსებობას ჩვენის ისტორიის მასალებთან
დიდი რამ კავშირი მაინცა და მაინც არა აქვთ, ამიტომ აქ
ამით ვათავებთ საუბარს და გადავდივართ XVIII საუკ.
იმერეთის სტამბის აღწერაზე. 1709 წ. თფილის გახს-
ნილი სტამბა და ქართული წიგნების საქმე მთელს სა-
ქართველოში ელვასავებ მოიფინა. იგი მრავალთათვის
გახდა სარკეთ და საყურადღებოთ, ნამეტურ ყურადღება
მიაქციეს ბერძენ-იმერთა, დაბეჭდილი წიგნების რიცხვი
უცბათ იყლაპებოდა. რაც თფილის 1709—1713 წლ.
წიგნები გამოიცენ, იგი მარტო იმერეთის ერს არ ჰყო-

ფნიდა. მიტოზ მოხდა ხსენებულ წიგნების მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კამოცემა-კი საქართველოს გარეშე მოსკოვს და პეტერბურგსაც. წიგნების დიდი მოთხოვნილება ისმოდა, წიგნები-კი მცირე იყო, ერთს თხოვნას ვერ აკმაყოფილებდენ მბეჭდავნი, ქაღალდის სიძირის გამო ყოველთვის ცოტას ბეჭდავდენ. ასეთმა გარემოებამ იმერთ დიდებულია და მცირებულით შორის უადვილესათ გამოიარკვია ჰაზრი და ნატვრა იმერეთში სტამბის დაარსების და წიგნების ბეჭდვის, ამისთვის იმერთა თფალისში გამართეს მიწერ-მოწერა. იგინი თფალისის სტამბის ვამკეთ სახოვდენ საქმის მოწყობაში მხოლოდ ხელის შეწყობას. თუ რამ სტამბის იარაღი გაქვსთ მეტა, შეგველიეთ და უაგვითმეთო. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, საბეჭდი სტანცია რუსეთიდაც მოიტანეს, ხუცური და ხედრული ასრები-კი თფალისში ჩამოასხმევინეს. ბევრის შრომის შემდეგ, 1785 წლებში, ქ. ქუთაისს გაიხსნა უკვე პირველი ქართული სტამბა. სტამბა მოაწყო თფალისიდამ წასულმა რომანოზ ზუბაშვილმა, სტამბის ქარგმა ხელოსანმა, ვალახიილამ მოსულ ოსტატებთაგან განსწავლულმა. ამ ხელოსანმა ამოწყობაც იცოდა და ბეჭდვაც. სტამბის მართვის საქმეში დიდის ენერგიით აღმოსჩნდა გენათის არქიმანდრიტი ზაქარია. ხელოსნობაში, ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ეს არქიმანდრიტი ყოფილა, ამასვე უსწორებია წიგნები დასაბეჭდათ, კორექტორიც ეს ყოფილა. მხნე ოსტატმა სტამბის გახსნის უმაღლ რამდენსამე იმერთ ახალგაზრდებს აწყობა და ბეჭდვა შეასწავლა. მალე ამოწყობა და ბეჭდვაც დაიწყეს, 1787 წელს უკვე გამოიცა პირველიად იმერეთში ქართული წიგნი, შემდეგ პირველის სხვა-და-სხვა წიგნებიც აღიბეჭდენ, ყველა გამოცემის შედაპირზე დაბეჭდილია მოხსენება იმერ-

თა მეფისა და კათალიკოზისა ისევე, როგორც ეს თფილისში იქმნა შემოღებული თვით გატანგ მეექვის დროდგან, ლოცვაში, ეკკლესიაში მოსახსენებლათ, თავის ალაგას მოიხსენებიან მეფე, მათი უახლოესი ნათესავი და კათალიკოზი. საეკკლესიო წიგნებს გარდა XVIII საუკლამლევამდე რამდენჯერმე ქართული ანბანის წიგნაკებიც დაუბეჭდიავთ ლოცვებით.

იმერეთის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობები მალე მოიფინა სამეგრელის მთავრებს და ეჩს შორის, გურიაში, სვანეთში და სხვა ასეთ დაშორებულ კუთხეებშააც. მაგალითის მიბაძვას ყელანი პირებდენ, ამაռბაში მოახლოვდა XIX საუკლამსაწყისა და შას თან შოჰკუპა სხვა-და-სხვა შინაური და გარეული ცვლილებანი, რამაც ზემოხსენებულ მთავრებს ხელიდამ გამოაცალა მიმბაძაობის ჰაზროვნება. იმერეთში, ქართული სტამბა აღრიცვანვე გაიხსნებოდა, რაღანაც ამის საჭიროებას იმერეთი დიდებულნი, როგორც ზემოთ ესთქვით, XVIII საუკლამსაწყისიდამვე გრძნობდენ, მაგრამ ეს მათ ვერ უხერხდებოდათ, რაღანაც იმერეთზედ სასტიკათ მძლავრობდენ მფრები, ამ ხანებში უძლურის სპარსულისაგან იმდენი ვაება ქართლსა და კახეთს არ აფა, რაც ძრიელის ოსმალეთისაგან იმერეთს. შედარებასაც ვერ გავპედავთ, აღა-მამად-ხანი რომ 1795 წ. იმერეთს დასცემოდა, მედარწმუნებული გარ, რომ მაშინ ეს უძლურნი ვერას გააწყობდენ, იმერნი მთლათ დაულოტდენ მათ, შვონი ერთი სპარსიც ვერ წასულიყო აქედამ ცოცხალი, მაგრამ მათ ეს ასე არ მოუხდათ. მათ გაიღაშქრეს უძლურს ქართლზედ, საღაც 80 წლის მოხუცი მეფე მეფობდა და მისი მძიმე და ბერიულის მიმართულების ბევრის ჭამია გიორგი. თამამათ ეიტყვით, რომ იმერეთ მძლავრის ოსმა-

ლის დაშოშმინების და მურჩილებას შეოხებით იმოდონი საქვეები ჰქონდათ, რომ მათ სტამბის და მწიგნობრობის პატრიკობისთვის სრულიად აღარაფერი ღრო ჰქონდათ, რომ ეზრუნათ. როგორც კი მოიპოვეს მათ მარჯვე ღრო, აյგი მაშინათვე მოეწყვენენ სტამბის საქვეს.

რადგანაც სტამბის არსებობა, ხარჯი და წიგნების ბეჭდევა დაღს ძალას ითხოვდა, ამიტომ მეფე სოლომონის ბრძანებით სტამბის ზედამხედველ პატრიკონათ და გამგეოთ დაინიშნა სარდალი ზურაბ წერეთელი. რამდენიმე ხნის შემდევ, იმერეთში უამი გაჩნდა, ამის მიზეზით სტამბა რაჭაში გადიტანეს, სოფელს წესს და იქ გამართეს და წიგნები ბეჭდეს. მაგალითებრ ქუთასში სოფრონ ეპისკოპოზისაგან დაწყობილ „სადღესასწაულოს“ ბეჭდე, წესს დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს 1811 წ. ა. ა. კე სოფელში დაუბეჭდავთ „დაუჯდომელი ღვთისმშობლის“ და ზოგიც სხვა წიგნები. რუსთავან იმერეთის დამორჩილების შემდეგ სტამბა მაინც არ მოსპობილა, ზურაბ წერეთელს თავის მამულს საჩხერში გადუტანია და იქ უბეჭდავს წიგნები. მაგალითებრ საჩხერის ში გამოუციათ „სახარება“ 1817 წ. სახარების ბოლოს მიბეჭდილია შემდეგი ცობა: — „უფალნო და მმანო, მომისსენეთ მე მდგარი და უდის არსამასდროიტი გაენათისა, ცოდვილი ზაქარია, რომელმან ფრიად შრომა თავს კიდევ წმიდა ამის სასარებისათვის და მრავლითა ღვაწლათა აღვასრულე“ პირელ გვერდზედ მიბეჭდილია შემდეგი: — „დააბეჭდა ესე საღმთო სახარება საჩხერეს, სასახლეს სასაფლაოს წერეთლისას“ ქ. ქუთასშა, 1807 წ. დაბეჭდილს „დავითნზე“ მიწერილია შემდეგი: — „დააბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ეს ფსალმუნთა სამეფოსა ქალაქსა ქვთასს, პალატსა სამეფოსა უხუცესობი თავადის სახლთუსუცესის ზურაბ წერეთლისათა, ხე-

დითა მესტამბე რაზმაშე რომანთზე ზურაბიშვილისათა. ჯამ-
გებელი და ზედამხსელებელი სტამბისა ამის მდაბალი არსიმან-
დროტი ზაქარია, ფრიად მშრომელი მუშავობითა ვიღოცავ,
რათა მომისხენებდეთ“. აქ მოხსენებულ მესტამბე ზურაბის-
შვილს ზოგს წიგნებზე ზურაშვილთ მოიხსენებენ, ნამე-
ტურ ტფილისში დაბრკედილს წიგნებზე. ამ ზურაშვილს
გარდა იმერეთის სტამბაში სხვა ამომწყობნი და მბეჭდავ-
ნიც ყოფილან, ხოლო მათი ვანაობის ჩვენ არაფერი ვი-
ცით. როგორც სხანს, ეს სტამბა 1820 წლების შემ-
დეგ დახურულა. საზგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ
იმერეთის სტამბის სატორიის ზესახებ ჩვენ ერთობ მცი-
რე მასალები გვაქვს.

ზემოთ, ტფილისის სტამბების საუბარში ჩვენ ს.
ღოდაშვილის სტამბის მოხსენებაზე შევხერდით. უნდა
მოგახსენოთ, რომ XIX საუკ. დამდევილან. ტფილისში,
ერთი სტამბა არსებობდა, ჩვენის მეფეების დროიდან და-
შთენილი. ამ სტამბაში ქართული წიგნებიც იძეჭებოდა,
თუმც იშეიათად. 1814 წ. გამოიცა ქართული სახარება
და პატარა წიგნები. 1829 წ. გახსნილ ს. ღოდაშვილის
სტამბამ დიდხანს ვერ გასძლო, ამ სტამბაზე 5000 მან.
ფული დაიხარჯა შევულ-მონაზონ იქანე ხელაშვილისა.
დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ, ამ სტამბაში
უნდა აღმდევილიყვნენ ყველა საჭირო სახელმძღვანელო
წიგნები, ის წიგნება, რაც კი 1817 წ. გახსნილ სემენა-
რიაში იქმნებოდა სახმარებლიდ საჭირო და ისევ იმ
დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. ამავე სტამ-
ბაში გამოიცა გაზეთი „ტფილის უწყება“ 1829 წ. და
თვიური ეურნალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მო-
სპობილ იქმნა ეს სტამბა და მას გამგე-პატრონი რუსეთში
გარდასახლებული სამუდამოდ, რგო რუსეთიდან საქარ-

თველოში ვეღარ დაბრუნდა. ამ სტამბის შემდეგ ტფილისში გაიხსნა სხვა სტამბა, აშტარხანელ სომხების ძმათა არზანოვების, სადაც ჭართული ასოებიც მოათავსეს. ამ სტამბაში 3. ოსეულიანმა დაბეჭდა შავთელის და ჩახრუხაბის პოემები. ეს სტამბაც მცირე ხანს დაშთა. აქ კანდა ვსტევათ შემდეგი: ხსენებული სტამბის პატრონნი სომები იყვნენ.

საქართველოში პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა სომხური წიგნი, ესე იგი 1833 წ. მინამდის საქართველოში სომხური წიგნების ბეჭდების საქმე კი არა, ხსენებაც კი ჭავანებათ არ ყოფილა. პირველი მაგალითი იყო ეს, მათ დასტამბებს სომხური ლოცვის წიგნები და სასწავლებელი წიგნები, სხვათა შორის. მათ დაბეჭდებ „ნერსესის ლოცვებიც“ ქართულის ასოებით, ხოლო სომხურის სატყვებით, რათა ამით იმ დროის საქართველოს ქართველ გვარის სომხებში სომხური ენა უაღვილესათ განევრცოთ. ამით იგინი არ შეცდნენ, მათ ბრწყინვალე დარი დაუდგათ, საქართველოში. აღ-დგინჯს სომხური ენა, რაც შეეხება წიგნების ბეჭდებს, ესეც ხომ ყველასთვის ცხადია, ვგონებთ საუბარი და მტკიცება არავის მოუნდება, ყველაფერი თვალით სჩანს, თუ ჩვენ ქართველთ დაკვირვება და შედარება გვექმნება. ქართული ბეჭდების ისტორია საქართველოში 1707 წ. იწყება და სომხებისა 1833 წ. აბა ახლა ჩვენი დღევანდელი ბეჭდების საქმე მათსას. შევადაროთ, მათი ჩვენზე ბევრათ ბევრი გამოვა: ზემო ხე-ზებული სტამბის დახურვის უმაღლ შეძენილ იქმნა იმ დროის სომებთ ნერსესიანის სემენარიისაგან, რომელ სე-შენარიაც პირველად გაიხსნა საქართველოში 1830 წ. ამ დრომდის, საქართველოში არამც თუ სომებთ სემენარიის ხსენება, არამედ უბრალო სამრევლო სასწავლებლის ჭა-

ჭანებაც კი არსად იყო. მაგრამ აბა დღევანდველ პოიებს ჰქითხეთ ამის შესახებ, თქვენ ნახავთ იგინი რა პასუხს მოგცემენ: ანი ქალაქის კედლები ლამის მცხეთას აღაგონ, ჰაოსის საფლავსაც ტფილისში სძებნიან. მიტომაც გადა- აკეთეს ქართულ დედა-ქალაქ ტფილისის სახელი—ტუხი- საღ და ახალციხე —ახსიხათ.(!)

სენებულს სემენარიის სტამბაშიაც იყო შოთავე- ბული ქართული ასოები, აქაც ბეჭდავდნენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა განცხადებებს, ქართული წიგნები კი არა დაჩვენდილა-რა, ერთავად სომხურს წიგნებს ბეჭდავ- დნენ. ამ სტამბამ ჩაუდგა საქართველოს სომხობას სული, თორემ მინამდის სომხები საქართველოში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. 1865 წ. ეს სტამბაც მოისპო. 1846 წ.: საქართველოში მოვიდა ვორონცოვი. 1850 წლებში, ქართველთ შორის ასტყუდა საუბარი ქართულის დრო- გამოშვებითი გამოცემის შესახებ. გამოცემას შრავალი ნატრობდნენ. ვორონცოვმა მალე დართო თვიური „ცის- კრის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წ. გ. ერისთავის რე- დაჭრორობით „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. ეურნალის გამოსაცემად რედაქტორმა ჩუქებით სტამბის იარალიც შეი- ძინა მმ დროის მთავარ-მართებლის სტამბიდან, „ცისკრის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცისკარ“ 1854 წ. ბოლოს მოსპო და 1855 წ. სტამბაც დახურა. 1856 წ. „ცისკარი“ ივ. კერძესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიათ იყიდა 900 მ. 1857 წ. ამ სტამბაში დაიწყო „ცისკრის“ გამოცემა. ერთ წელიწადს 300 მ. უნდა მიე- ცა, მეორე წელიწადს 600 მ. მაგრამ ვეღარ მისცა, გიორგი ერისთავმა სტამბა დაუბეჭდა, „ცისკრის“ გამოცემა ერთ თვეს შეუჩერა! ივ. კერძესელიძემ დიდი წვალებით ფუ- ლი იშვინა და გ. ერისთავს ჩააბარა, სტამბა განთავი-

სუფლდა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ეს სტამბა გ. ერის-
თავს ვორონცოვის წყალობით მუქთათ ეჩუქა მთავარ-
მართებლის სტამბილან, სტანოკი ხისა ყოფილა, შესამე
წელიწადს გატეხილა. მერე სხვა რკინის სტანოკი გა-
მოუწერია. ამაზე აი რა მიამბო ივ. კერძელიძემ:

„სტამბის შეძენის შესამე წელს სტანოკი გამიტყდა,
ალარ ვარგოდა, მის ვალისაც 300 მ. გარდასახლელი
მჟანდა. უურნალი პიჩერდებოდა. ერთ საღამოს ჩემს
სახლში დავპატიუე გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, გ.
მუხრანსკი, ივ. მუხრანსკი და ბევრიც სხვა ქართველი
გენარლები. დანიშნულს დროს, ფაიტონი ფაიტონზე
გრიალით მოდიოდა, პოლიციასაც შევატყობინე, რომ
მგზავრთათვის სახლის გზა ეჩვენებინათ, შეკრების შემდეგ
მე მათ სტანოკის შეძენაში დახმარება ვსთხოვე. ეს მათ
მომიხერხეს. მალე სტანოკი გამოვიწერეთ და სტამბა გა-
ნვახლე.“ ივ. კერძელიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცის-
კარი“ და ყველა თავას გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა
ხანს ეპყრა. 1873 წ. ექვთიმე ივანეს დე ხელაძეს მიჰყიდა,
ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებობს. ამ სტამბას სა-
კმარისი ღვაწლი მიუძღვის ქართულს მწერლობაზე. ამ სტამ-
ბაში დაიბეჭდენ. ძრიელ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ
დაიბეჭდენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულს მწერ-
ლობაში პირველად იქმნენ ადგეჭდილნი. მაგალითებრ: —
ქილიდა და მანა, გამოც. გრიგოლ გურიელისა, ვისჩა-
მიანი, ლზა მეტყველება და ბევრიც სხვა წიგნები. ამას
გარდა აქვე იბეჭდებოდენ ქართული ლრო გამოშვებათი
გამოცემანი, გჭირებები და უურნალებიც, დღესაც ბევრი
წიგნები იბეჭდება ამ სტამბაში.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახუ-
რიც მიუძღვის ქართველთა წინაშე, ნამეტურ ქართველ

გამოშუემლებთა, რომელთაც კი ქართული წიგნების ვა-
მოცემა იწყეს 1873 წ. შემდეგისამ. აი ერთა, თვით მე,
ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება
წიგნების გამოცემის მოხერხებაც ვერ შემძლებოდა, რად-
განაც მაშინ თფილისში სულ თხზი სტამბა იყო, სამს
სტამბაში ჩემისთანა ღარიბი კუცი ფეხს ვერ მიღვამდა,
რაღანაც ყველა ამ სტამბში წიგნების საბეჭდს ფასს
ისე იღებდენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახ-
ლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების ბეჭდე-
სა, აპა როგორ მოხახერხებდათ ასეთ ფასების ძლევას,
მაგრამ ბ. ექვთ. ხელაძემ წაგვახალისა, ამოწყობას და
ბეჭდვას ისეთი ფასები დაადო, სტამბის საბეჭდს
ზომაზე ისე დაპატარავა, რომ ყოველი ჩვენთაგანი აღ-
ვილათ პკიდებდა რამე წეგნის გამოცემას და ბეჭდავდა.
ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მეტამბებმაც და-
აკლეს ბეჭდვის ფასებს.

ესე რომ არ მოხერხებინა ბ. ექ. ხელაძეს, მაშინ
ჩვენ, ქართველი გამოშუებულნი, ბევრს ვერას გავაწყობ-
დით. პირველი: გაშინ საბეჭდი ქალალდიც ძერი იყო,
რასაც მაშინ ოზმას 4 მან. ცყიდულობდით, დღეს ის 2
მან. ლირს, გარდა ამისა წიგნების ბეჭდვაც ახალი საქმე
იყო, საქართველოში სახალხო წიგნების ბეჭდვა პირვე-
ლი მავალითი იყო, ჯერ საიმისოდ არა იყიდებოდა-რა, თითო გამოცემა რამდენსამე წელიწადს რჩებოდა, რის
წვალებით და ვაივაგლახით ვრცელდებოდა, ზოგი მუქ-
თათ რიგდებოდა სოფლებში, ზოგი აქა-იქ ქალაქებში იგ-
ზავნებოდა და იქაც იკარგებოდა ისე, რომ გამოშუებელს
ყოველთვის სხვა საქმეებიდამ უნდა ელო ფულები და ახალ-
ახალ გამოცემებზე უნდა ეხარჯა, წიგნები კი ხალხში
მუქთათ უნდა ერიგებინა, რომ ამის მეოხედით სა-

მერმისოდ ხალხში წიგნების კითხვის სიყვარული აღმარ-
ძინებულყო, თუ ეს ორა, უმისოდ არა გაკეთდებოდა
რა. ივიო ბ. ექვ. ხელაძეც ბეჭდავადა ქართულს სხვა-და-
სხვა წიგნებს. იგი დღესაც ბეჭდავს საკუთარს გამოცემაებს.
მე კარგათ მახსოვს, რომ 1875 წ. 3. უმიკაშვილმა და
ექ. ხელაძემ, სკოტის-ცხოვლობის დღესასწაულ დღეს
თფილისიდამ ერთი ტომარა ქართული წიგნები წაიღეს
გასასყიდათ, მაგრამ იქ სულ 3 მან. ვერ გაეყიდნათ, ისიც
ნაცნობებს ეყიდნათ. ხალხი ამას არ მისდევდა. ასეთი
იყო მაშინ ჩვენი მწიგნობრობის და გამომცემლობის მდგო-
მარეობის საქმე. ამას რომ ექ. ხელაძის სტამპა არ მოვ-
ლენიდა, იგი მ.შინ საკმარისად შეფერხებული დაშო-
ბოდა და იქნება ზევრს ველარც-კი გამოეცა წიგნი.

ამ სამარიალისოდ მოსაგონარ საქმეს გარდა ამ სტამ-
ბას და მის პატრიარქს ერთი სხვა სამსახურიც მიუძღვის
ჩვენის ტომის და ნამეტურ სამღვდელოების წინაშე, მა-
გალი თებრ: 1857 წ. თფილისის უმაღლეს სამღვდელო
პირებთ შორის აღიძრა კოთხვა ქართულის საეკკლესიო
წიგნების ბეჭდვაზედ, რადგანაც იმ დრომდის საეკკლესიო
წიგნებმა ველარ მოაღწიეს, ადრე მოსკოვში დაბეჭდილნი
ეკკლესიებში ხმარებისაგან გაცვდენ, მთლად დაიფხრიწ-
ნენ. გარდა ამისა ეკკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე
კინალამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა აღრიჩ-
დებულათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის
რაგვარ და რანაირათ დაიბეჭდებოდენ. ეს გარემოება
ბევრს ეწყინა, განა დღეს ჩვენი სტამბები იმოდენად არ
უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თფილისში მოვახერ-
ხოთ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვაო! ეს რასა
ჰგავსო. მრავალნი უკულმართნი ისეთ აზრების იყვნენ,
რომ ვითომც თფილისში ვერ გამოსცემენ ისე, როგორც

მოსკოვს. ამ გარემოებას მკაცრათ აღუდგა წინ ექვ-
ხელაძე, რუსეთის სტამბების ფასი საკმარისად დაუკლო
და საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან ითხოვა,
ზოგმა ეჭვი განუცხადეს, ვერ გამოსცემო. ამან პირობა
მისცა ასე: პირველი—ისფათ დავბეჭდავ, მეორე—თფი-
ლისში უფრო კაი კომისია შესდგება, რომ წიგნების კო-
რექტურა კარგათ შესწორდეს. მესამე—თვით დედნებიც
შეიძლება გაუმჯობესდეს და განხილულ იქმნეს მულენე
პირებთაგან, მეოთხე—ამისთვის მე გირავნობას შემოვიტან
სინოდის კანტორის წინაშე, რამ თუ ყოველივე ასე არ
აღსრულდეს, თფილისში უფრო უკეთესად არ გამოიცეს
ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს
გირავნობაზე ხელი ავიღო, ჯარიმაც გადავიხადო. ბევ-
რის შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართუ-
ლი საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თფილისში იქ-
მნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამ-
დის უნდოდათ ზოგიერთ პირებს.

ამ საქმის წინაშე სამსახურის გარდა პ. ექ. ხელაძემ
ქართველთ ამომწყობლებსაც კაი სამსახური გაუწია, რომ
ასეთი დიდი საქმე თფილისში მათ გასაკეთებლად გახა-
და. საღმრთო წერილის წიგნების ამომწყობის და შეშაო-
ბის ფლლი რამდენსამე ხელოსნენს ქართველს საყოველ-
თავოთ დაარჩენს ცოლ-შვილით, დღეს, ქართულის საღ-
მრთო წერილის საბეჭდ საჩივიდრო ბინათ თფილისის
სტამბები ითვლება.

ამასთან პ. ექ. ხელაძემ ბევრი სოფლელი ყმაწვი-
ლებიც დაზარდა, სტამბის ხელობის ცოდნა მათ საუკეთე-
სოდ შეასწავლა. ყველა სტამბებში დღეს ამისაგან და-
დილი შეგირდები ამშვერებენ თავიანთ საქმეებს და მასთან
ქართულ წიგნების ბეჭდვესაც. უნდა ითქვას, რომ ზოგს
მათგანს საკუთარი სტამბაც აქვს, თავიანთ საქმეებსაც კარ-
გათ უძლვებიან, ხანდისხან ქართულ წიგნებსაც ბეჭდავენ.

პ. ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნამდე ტფილისში
არსებობდა ებრაელის დუბელირის სტამბა, მერე ეს სტამბა
გიორგი წერეთელმა შეიძინა და „კრებული“ და „დროე-

ბა” იქ იბეჭდებოდა. ეს სტამბა გიორგი წერეთლის ხელში რამდენსამე ხანს დარჩა, შემდეგ ისევ პატრიონის ხელში გადაიღანეს და იქა უბეჭდავდით წიგნებს. ამათსავე დროს ტფილისში არსებობდა ეურნალ „მნათობის“ სტამბაც. მაგრამ იგი მცირე ხანს დარჩა.

1860 წლებში ქართველთ თვალი გაახილეს, მასთან მათ საჭიროთ დაინახეს „ცისკარს“ გარდა სხვა უურნალის გამოცემაც, უურნალისთვის სტამბაც იყო საჭირო, ივ. კერძესელიძის სტამბა ყველას ვერ აკაცყოფილებდა, სტამბას გახსნა-კი ძნელი საქმე იყო, ამიტომ 1862 წელს მეზიგნე ეფარჯიანცის ძმამ თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოათავსა, 1863 წ. აქ გამოიცა „საქართველოს მოამბე“. დღეს ეს სტამბა ტ. როტინიანცს ეკუთვნის, სადაც „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვა და სხვა ქართული წიგნებიც იბეჭდება. „სიქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ქართველთ გაზეთის გამოცემაზე დაიწყეს თათბირი. გაზეთის გამოსაცემად სტამბაც იყო საჭირო, ამიტომ რამდენიმე კაცი შეიყარა ერთათ: დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტეფ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პირნი და 1865 წ. თფილისში სტამბა გახსნეს, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს, გაზეთისთვის სულ ახალი ასოები ჩამოასხმევინეს და 1866 წ. მარტიდამ „დროების“ ბეჭდვაც დაიწყეს. ამ სტამბაშიაც ბევრი წიგნები და უურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა. დღეს ეს სტამბა „ქართველთ წიგნთ გამომცემლს ამხანაგობას“ ეკუთვნის, სადაც დაიბეჭდენ აკაცის ნაწერები, ილ. ჭავჭავაძისა, ყაზიბეგის, პეტრიაშვილის და ბევრიც სხვების. დღეს „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“ აქ იბეჭდება.

რაც ნელ-ნელა დრონი მიფრინავდენ, მით დაძინებული ქართველებიც გამოფიზლებას ეძლეოდენ, მწერ-

ლობაც შესაფერს სულსა და ხორცს ისხავდა, რიგიან მწერლებმაც მრავლათ იწყეს თავის ჩენა, წიგნების ბეჭდ-ვაც გახშირდა, ამ სიხშირეს სტამბის უქონლობა და სა-ჭიროებაც თვალ-ხილულათ ემჩეროდა. 1884 წლებში, თფალისში გაიხსნა ახალი ქართული სტაზია გრ. ჩარკვიანის, არ. კალანდაძის და ალ. დრევიანის. სტამბის მო-წყობილება ძევლი იყო, მაგრამ საქეს მაინც უძღვებო-დენ. ამ სტამბაში დაიბეჭდა გახუშტის ისტორია, დიმ. ბაქრაძის რედაქტორობით, საბა ორბელიახეს ლექსიკონი და ბევრიც სხვა წვრილი წიგნები. ერთ დროს გაზეთი „დროებაც“ აქ იბეჭდებოდა, უკანასკნელ სტამბის საქმე აირ-დაირია, ამხანაგებმა კინალამ ერთმანერთი. დაჭამეს, ერთი წელიწადი დაკეტილი იყო, მერე ესენი მოარიგეს დ. ბაქრაძემ, რაფ. ერისთავმა, იოს. ბაქრაძე და მე. სტამბა ორათ გაიყო: ერთი ნაწილი არს. კალანდაძეს არგუნეს, მეორე გ. ჩარკვიანს. უკანასკნელის დღევანდლამდე, არ-სებობს. თფილისში — აქ იბეჭდება. სხვა და სხვა ქართული წიგნებიც. მეორე ნაწილი დეკანოზმა დავით ლამპაშიძემ შეიძინა და ქუთაისს გადაიტანა, სადაც დღევანდლამდი-საც არსებობს ეს სტამბა; 1891 წლებიდამ კვალაჭ მოე-მარა ერთი ქართული კარგი სტამბა: ეს სტამბა გახსნეს მაქსიმე შარაძემ და მისმა უანგარო. მუშაკ ამხანაგებმა: ესტ. კერესელიძემ, სფ. ლოსაბერიძემ და ვას. გძელიძემ. ამ სტამბის გახსნა და მის უანგარო მუშაკთ ძპათ მეტა-დინებამ დიღი სამსახური გაუწია. ჩვენს ქართველობას: დღეს ამ სტამბაში იბეჭდება აუარებელი ქართული წიგ-ნები. აქ იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები, ჩემი, თვით სტამბის ამხანაგობის და ბევრიც სხვების. • ქვე იბეჭდება გაზეთი „ივერია“ და ხანდისხან სხვა და სხვა დრო გამოცემანც. დღეს თვილისში თხი ქართული

სტამბა არსებობს, სადაც ნახევრამდის ქართული წიგნები
და საქმეები იძეჭდება. უნდა ესოქვათ, რომ დღეს არ უ
ეს სტამბები ჰყოფნის ქართველთ და ამ სტამბებს რომ
ერთი სხვა დღი სტამბაც მოემატოს, მაშინაც-კი საკმა-
რისი იქნება. მათვის საქმე, რადგანაც ხშირად ხსენე-
ბული სტამბები ვერც კი ასდიან საქმეების შესრულებას.

მაშასადამე მკიოხველი აშკარათ მიხვდება, რომ
ჩვენში, რამდენიც დრო გადის, იმდენი მწიგნობრობის
საქმეც წინ მიღის და სტამბის მოთხოვნილებაც ემატება.
სტამბა და წიგნის ბეჭდვის საჭიროება თფილის გარეშე
საქართველოს სხვა კუთხეებსაც დიდათ დაეტყო, ასეთია
ნამეტურ იმერეთი. ქუთაისში მთავრობისაგან გახსნილი
სტამბა 1850 წლებიდამ არსებობდა, ამ სტამბაში ხან-
დისხან ქართული წიგნებიც იძეჭდებოდა, მაგრამ ეს არ
კმაროდა, 1880 წ. იქ გაიხსნა მეორე სტამბა სადაც
ქართული წიგნების ბეჭდვამაც კარგათ იჩინა თავა.
1875 წლების შემდეგ იმერეთს უფრო ემცნეოდა წიგ-
ნების ბეჭდვის მოთხოვნალების საჭიროება, იმერთ შო-
რის ზოგიერთებმა იწყეს სხვა და სხვა წიგნების გამოცე-
მა ქ. ქუთაისს. ამ გარემოებამ სხვა სტამბის გახსნაც მო-
ითხოვა, მალე გაიხსნა იქ მა გამრეკელის სტამბა, სადაც ერთ
დროს გაზეთ „შრომაც“ იძეჭდებოდა. აქვე დაიბეჭდა „ვე-
ფხის ტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის მექონ ასოებით,
რომლის ყალიბების ჩაშისხმა და ასოების შემოლება კ-
ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქმ-
ნა ქართველთაგან, ამიტომ იგი დაშთა უხმარებელ. ერ-
თის შეხედუით ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰგავს, კაცს
თვალს უჭრელებს; ამას ბევრათ სჯობია ის ახალი ასოე-
ბი, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პარიშში
გააკეთებინა, ასოებიც ჩამოასხმევინა და საბეჭდათაც ვცა-

დეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩვენს ფარსაგათ. შე-
დარებით-კი ეს უნდა სჯობდეს ზემოხსენებულს და ქუ-
თაისში შემოლებულს. ეს სტამბა შემდეგ გადავიდა პ. წუ-
ლუკიძის ხელში. ხსენებულ სტამბას მოჰყვა ბ. ფერაძის
სტამბა, სადაც ქართული ასოებიც მოათავს და წიგნე-
ბის ბეჭდვაც დაიწყეს.

იმერეთში ყველაზე დიდი შრომა და ამავი გამოი-
ჩინა დეკ. დ. ლამბაშიძის სტამბამ, სადაც დღევანდლამდე
იბეჭდება სასულიერო გაზეთი „მწყემსი“ და აკაკის თვი-
ური ეურნალი „კრებული“. აქვე იბეჭდება სხვა და სხვა
სასულიერო დიდრონი წიგნება, ხშირათ წერილი წიგ-
ნებიც, სახალხოდ, კაპეიკიდამ დაწყობილი 10 კაპ, ზოგი
ჩვენის ისტორია-დამ და ზოგიც საღმრთო სჯულის ისტო-
რიიდამა. სტამბის დაარსებამ და წიგნების ბეჭდვამ დიდი
საქმე, დიდი სამსახური დათესეს, იმერეთის ერში წიგ-
ნების კითხეა და სიყვარული უადვილესათ აღაფრთვა-
ნეს, თვილისის მაწანწალა ვაჭრების წიგნებსაც იქით
გზაში გადაელობნენ. ამ სტამბის შემდეგ ქუთაისში გაი-
ხსნა ივ. კილაძის და იოს. ხელაძის სტამბა, სადაც იბე-
ჭდება დრო და დრო ქართული წიგნები. აქვე გამოიცენ
ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი. ქუთაისის ოთხ სტამ-
ბას შალე მეხუთეც მოემატა, ეს იყო ილ, ჭყონის სტამბა,
სადაც იბეჭდებოდა გაზეთი «მეურნე». სხვა და სხვა გარე-
მოების მეოხებით ამ სტამბამ დიდხანს ეკრ შესძლო არსე-
ბობა და მიტომ იგი შეძენილ იქმნა ბ.ბ. კილაძისა და
ი. ხელაძისაგან, დღეს ქუთაისში სულ ოთხი სტამბა არსე-
ბობს, ქუთაისში ამსზე მეტი ვეონებო ჯერ საჭიროც არ
იქმნეს. რაღვანაც იმერთ შორის ყოველს დაბასა და ქა-
ლაქშიაც იღვიძებს სტამბის გახსნის საჭიროება, მაგალი-
თად, საქმე და მიმბაბაობა ისე წავიდა მათ შორის, რომ

1887 წ. კოშია ჩითანის ძე თავართქილაძემ თვთი თბილ-გეთშიაც გახსნა ქართული წიგნის საბეჭდი სტამბა. ამ სტამბის გახსნის საქმეს გრ. გურიელი დილის სიხარულით მიეგება. პირველ დღესვე შებრძანდა სტამბაში და ასოთ-ამწყობს ასე უთხრა: „,რას კსედავ ამას, იმასაც მოვესწარ, რომ გურიაში, ოზურგეთში, სტამბა ვნახე ლჲ, თქვენს მარ-ჯვენას ქი ვენცალე, თქვენს მარჯვენას, რითაც-ვი მისურ-ებთ და დამაკალებთ, მე მზათა ვარ, რომ უოველოვის გემ-სასუროთ“. ამ სტამბაში გამოიცა „ვეფხის-ტყაოსანიც“ - კი. სხვა და სხვა წვრილი და დიდრონი წიგნებიც, გუ-რულები ჩეარა შეეჩივინენ სტამბის საქმეებს. მათში მაღლე ჩვეულებათ წაკიდა ქორწინების და მიცვალებულთა ამ-ბების განცხადებათ ბეჭდვა. კ. თავართქილაძემ ამ სტამ-ბის გახსნით დიდი სამსახური გაუწია კერძოთ გურულებს და საერთოთ ქართველებს. ეს ენერგიული კაცი მარტოთ თბილების სტამბას არ დასჯერდა, იგი გადავიდა სამეგ-რეონში და დ. სენაკშიაც გახსნა ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც მრავლად იწყეს წიგნების გა-მოცემა. კ. თავართქილაძის გარდა სტამბის აღვილათ პო-ვნის მეოხებით სხვებმაც იწყეს დრო და დრო წვრილი წიგნების გამოცემა. სენაკს შემდეგ ამავე პირმა და ალფ. მიქელიაშვილმა ბათუმშიაც გახსნეს ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც პირველად გამოიცენ ქართული წიგნები. ჩვენს ძველებს რომ სმენა ჰქონდესთ, მაშინ იგინი ბათუმში ასეთი სტამბის გახსნით მგონი გაიხარებ-დენ. ამათ სტამბის გახსნამდის ბათუმში მახარაძესაც ჰქო-ნდა სტამბა, სადაც მცირედ ქართული ასოებიც იყო, იგი უფრო რუსულ საქმეების კეთებას მისდევდა. კ. თავარ-თქილაძის სტამბის გახსნამ ბათუმში ბევრნაირათ იმოქმე-და, იმედია იქ წიგნების გამომცემლობაც წარმატებას მი-

ეცემა, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ენახეთ: წიგნთ გამომცე-
მელ ამანაგობა „გლეხმა“ პირველად ბათუმში ამ სტამ-
ბილამ დაიწყეს გამომცემლობა,

ზემო ხსენებულ სტამბებთ ჯარდა ფრთხისაც ეღიანსა
სტამბა და 1890 წლებში, იქ გახსნა სტამბა ლევრენტი
ტუდუშმა. ამანაც მოათავსა ქართული ასოები, ქართული
წაგნებიც გამოსცა. მაგალითად იქ დაიბეჭდა ვრცელი
საექიმო წიგნი „სიმრთელის კილობანი“, ორი წიგნი ქარ-
თულის პიესებისა და რამდენიმეც სხვა წერილი წიგნები.
ამავე სტამბის პატრონმა პატარა სფამბა ზუგდიდშიაც
გახსნა, სადაც დღევანდლამდე არსებობს. ზუგდიდის შე-
მდეგ სოხუმშიაც გახსნეს სტამბა, სადაც სანატრელია,
რომ ქართული წერილი წიგნების ბეჭივაც დაიწყონ.
ასეთსავე საჭიროებას შეადგენს ახალციხეში ქართული
სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭვდა. ეს არის რიცხვი
დღევანდელის იმერეთის სტამბების და რაც დრო გადის
მით მათი მოთხოვნილებაც ერთი ათად მატულობს. ქარ-
თლისა და კახეთში კი ეს ასე ვერ მაღის, თუმცა ექვთიმე
ხელაშის წყალობით პატარა სტამბება თულავსა და სილ-
ნალსაც გაიხსნა, სადაც დღევანდლამდინაც არსებობს,
ორივე ქალაქის სტამბებში წიგნებიც დაიბეჭდა ადრე.
ჩვენ გვევონა, რომ იქ სხვა-და-სხვა გამომცემლებიც იჩენ-
დნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წიგნაკების გამოცემის შე-
მდეგ იქ სხვა არავინ გამოჩნდა, არავინ რა დაბეჭდა.
ხსენებულ ქალაქების საქმეთა მოწყობას არც გორი ჩა-
მორჩა, აქ სტამბა გახსნა არ. კალანდაშემ, ეს სტამბა
დღესაც არსებობს, ქართული ასოებიც აქვს, პირველ
წიგნათ ჟე გამოიცა „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემფე-
ლისა, შარგმანი პატრის ანსელმო მღებრიშვილისაგან.
ვენ სრული იმედი გვევონდა, რომ ამ სტამბიდან სხვა

წიგნებიც გამოიცემოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იქმნა, იქ ხსენებულის წიგნით შექმნადა გამოცემა. უკანასკნელს წლებში, თვით კავკავის ქართველთაც იგრძნეს ქართული ასოების საჭიროება, კავკავის ერთმა უცხოელმა მესტამბეჭდი ქართული ასოებიც გაიჩინა და იქ ორი ქართული წიგნაკიც დაიბეჭდა. იმედია შემდეგ სხვებიც მიბაძვენ ამ სამაგალითო საქმეებს და წიგნების გამოცემას განაგრძობენ. სხვა-და-სხვა გარემოებამა და შემთხვევებმა ქართული სტამბების დახსნის საჭიროება საქართველოს გარეშე, უცხო ქვეყნებშიაც იქმნა გამოწვეული. მაგალითებრ: 1850 წ. ვენეციაში, შპ. ლაზარეს მონასტერში; საღაც არსებობდა სომეხ-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისჭირაშვილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმავე დროს წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქიდამ პ. ხარისჭირაშვილმა კოსტანტინეპოლს გადმოიტანა, თავისაგან აღშენებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1870 წ. ეს სტამბა დღევანდლამდე არსებობს. კოსტანტინეპოლის შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილის მეთარქობით ახალი ქართული სტამბა მონთობანშიაც მოთავსდა (ფრანცია), სადაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცენ. როგორც ვიცით, დღეს ამ სტამბებში წიგნების გამოცემის საჭე შეჩერებულია, პეტრე ხარისჭირაშვილის სიკვდილით საზღვარი მიეცა ასეთ საქმეთა წარმატებას. სამწუხაროა ასეთი დიალი საქმის მომავალში დაკინება. ამ ადგილებთა გარდა 1832 წ. პარიზში აკადემიკმა მარი პრისევმ ქართულ-ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიულის ბეჭდვით გამოსცა ქართლის ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ჩვენში ამ ისტორიას

„პარიუის ქრონიკა“ ეწოდება. 1845 წ. ტრიესტში, ლი-
თოგრაფიულის ბეჭდვით, გამოიცა ქართული წერის დე-
დანი, შედგენილი ტარასი არქიმანდრიტისაგან, ვისი გა-
მოცემა არის ამისი ჩვენ არა ეიცით-რა.

XVIII საუკ. სტამბებთა ოლწერაში ჩვენ არ ავნიშ-
ნეთ შემდეგი: 1795 წ. უბედურების შემდეგ, როგორც
ნათქვამი გვაქვს ზემოთ, თფილისში, ქართული სტამბა
მალე განახლდა ისე, რომ 1796 წ თფილისში ორი-სამი
ვრცელი ქართული წიგნიც გამოიცა. განახლებულის
სტამბისთვის რუსეთიდამ გამოიწერეს სტანკები და ზო-
გიც სხვა იარაღი. ერთი სტანკი, მეფის ბრძანებით,
თფილისიდამ სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს გაეყზავნა სა-
ჩუქრათ, რადგანაც 1795 წ. მტრისაგან ეჩმიაძინის სო-
მეხთ სტამბაც იქმნა შემუსვრილი. ამ სტანკის გაგზაუ-
ნის შესახებ 3. იოსელიანსაც აქვს ცნობა.

მეფე ერეკლეს და სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს
(1780—1799 წ.) შორის დიდი მეგობრობა ყოფილა გა-
მართული, ამათ ერთმანერთისთვის ხშირად წერილები
უგზავნიათ. ხანდისხან ერთმანერთს დახმარებიან კიდეც
უძინისობა, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა. ამ უკანა-
სკნელ წლებში, ეჩმიაძინის სომეხთ კათალიკოზის ძველ
წიგნებთა მდივან ხანაში აღმოჩნდა დიდძალი წერილები
შეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზის ცრიმანერთან
მიწერილები. აველა ეს წერილები ერთათ შეკრიბა სომეხ
მოძღვ. აღნიანმა და 1899 წ. თფილისში ცალკე ტომად
დასტამბა ამას ეწოდება «მდივანი სომხეთის ისტორიისა»
(1780—1800) სხვათა მასალებთა შორის აქ მოიპოვება
შემდევი ცნობაც ჩვენი სტამბის შესახებ.

მეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზს ისეთი მე-
გობრობა ჰქონიათ ერთმანერთან, რომ ლუკა კათალი-

კოზე ვითომც მეფე ერეკლესთვის ეჩმიაძინის სტამბილაშ ერთი კარგი სტანციი გამოეფარენოს ფეშქაშათ. ცნობები მოგვითხრობს, რომ ვითომც დასაპეტრე ქალალ დსაც მეფეს კათალიკოზი უგზავნილა ეჩმიაძინილამ. ამის შესახებ ჩვენ ში არაფერი ცნობებია დაშთენალი. გარდა ამის ცნობები გვაუწყებს, რომ ლომეხთ კათალიკოზის ამსტერდამიდამ (ჰოლანდია) სხვა და სხვა ენების ლექსიკონები. გამოეწეროს და უველა ესენი მეფე ერეკლესთვის მიერთმიოს ფეშქაშათ. ეს თუ მართალია, მაშინ, ჩვენის ფიქრით, იგი 1785 წლებში უნდა ყოფილიყო ს. ცნობა არს, რომ ესევე კათალიკოზი შუაძღვომლობდა შახრიმიანთან მიწერ-მოწერაში, რომელიც მეფე ერეკლეს და მის შორის აღდრო 1780 წლებში. ჩვენს ქართველთა სტამბის ვა მართვის ისტორიაში არსად არის მოხსენებული ეს სომხური ცნობები, რომელთა სიმართლეში ჩვენ ეჭვი გვაჭვს.

სასიამოვნო იქმნება, რომ ხსენებულ საქმეებთა შესახებ ცნობები ჰყიყრიბოს, ჰყიშმარიტებით კითხვა გამოირკვეს.

აი, ეს გახლავთ ანგარიში და ისტორია უველა იმ სტამბების, რაც კი 1625—1900 წლამდე საქართველოს და მის გარეშე ქვეყნებში დახსნილან და წიგნები უბეჭდავთ.


ზ. ჭ.

ვახტანგ გევარევი

ღ

სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე

ჩ. ქ.



გ ა მ ი ც ე მ ა

ხელოსნის ვარლამ ტუშელაშვილის მიერ.

ტ ფ ი ლ ი ს ი

სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიტნავაძი.

1 9 1 6 წ.

ფას 15 კაბ.

202
J 551